

ფიოდორ დოსტოევსკი

თეთრი ღამეები

სენტიმენტალური რომანი

(მეოცნებეს მოგონებებიდან)

*"...იყო ის შექმნილი მისთვის,
რომ თუნდაც წამით ეგრძნო
შენთან სიახლოვის ხიბლი?.."*

ივ. ტურგენევი

ღამე პირველი

საოცარი ღამე იყო. ასე მხოლოდ მაშინ ღამდება, როდესაც ძალიან ახალგაზრდები ვართ, ძვირფასო მკითხველო ჩემო. ცა ისეთი ნათელი, ისე სავსე იყო ვარსკვლავებით, რომ თუ შეხედავდი, უნებლიეთ გაიფიქრებდი: ნუთუ შესაძლებელია, ამ ცის ქვეშ ანჩხლი და ბრაზიანი ადამიანები ცხოვრობდნენ? ეს შეკითხვაც ახალგაზრდულია, ძვირფასო მკითხველო ჩემო, ძალიან ახალგაზრდული, მაგრამ გისურვებ, ღმერთი შეგეწიოს და ხშირად მოაწყდეს ის შენს სულს!.. როდესაც ანჩხლ და ბრაზიან ბატონებს ვსაუბრობდი, ნამდვილად არ შემეძლო, არ გამეხსენებინა, რაოდენ ღირსეულად ვიქცეოდი თავად მთელი ამ დღის განმავლობაში. დილიდან შემომეპარა უცნაური სევდა. უეცრად მომეჩვენა, რაოდენ მარტოსული ვარ, ყველამ მიმატოვა, ყველა გამირბის. ბუნებრივია, თითოეულ თქვენგანს აქვს უფლება, დაინტერესდეს: ვინ არის ეს ყველა? იმიტომ, რომ უკვე რვა წელიწადია პეტერბურგში ვცხოვრობ და არც ერთი ნაცნობი არ მყავს. მაგრამ რაში მჭირდებოდა ნაცნობები? განა ჩემი ნაცნობი და ახლობელი თავად მთელი პეტერბურგი არ იყო? ჰოდა, როდესაც პეტერბურგის მოსახლეობა

უეცრად დაიძრა აგარაკებისკენ, მომეჩვენა, რომ ყველამ მიმატოვა. მარტოობის შემეშინდა, სამი დღის განმავლობაში დადარდიანებული დავხეტილობდი ქალაქის ქუჩებში, ვერაფრით ვიგებდი რა დამემართა, საიდან გაჩნდა ეს სევდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად მივიდოდი... ანუ გავივლიდი ნევის გამზირს, შევიდოდი ბაღში თუ სანაპიროს მივადგებოდი, ყველგან სიცარიელე მხედებოდა. არც ერთი ნაცნობი სახე (რომელთა დანახვასაც ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილას, მთელი წლის განმავლობაში უკვე შევეჩვიე) არ ჩანდა. ისინი, რასაკვირველია, არ მიცნობდნენ, მაგრამ მე ხომ ვიცნობდი მათ, თითქმის შევისწავლე თითოეული მათგანის ფიზიონომია - ვუყურებდი და როდესაც მხიარულობდნენ - ვტკბებოდი, თუ მათ სახეებს სევდა და დარდი ღრუბლავდა, მეც ცუდ ხასიათზე ვდგებოდი. ერთ მოხუცებულს, რომელსაც ყოველ ცისმარე დღეს ვხვდებოდი ფონტანკაზე, თითქმის დაუშვებობრდი. მას ისეთი ჩაფიქრებული, ისეთი დიდებული გამომეტყველება ჰქონდა... მუდამ რაღაცას დუდღუნებდა, მარცხენა ხელს იქნევდა, მარჯვენაში კი ხის ტოტის სკიპტრა ეჭირა მოოქრული ბუნიკით. მოხუცმაც შემამჩნია, უფრო მეტიც, მონაწილეობდა კიდევ ჩემს სულიერ ცხოვრებაში. დიახ, სწორედ ამიტომ დროდადრო თითქმის ვესალმებოდი კიდევ ერთმანეთს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორივე კარგ ხასიათზე ვიყავით. თუ მთელი ორი დღის განმავლობაში მოხუცს ვერ შევხვდებოდი, მესამე დღეს უნებლიეთ გაგვიბოდა შლაპისკენ ხელი, მაგრამ, კიდევ კარგი, დროულად გვახსენდებოდა, რომ ნამდვილი ნაცნობები არ ვიყავით და ხელებიც ჰაერში გვიშემდებოდა. სამაგიეროდ თანაგრძნობით აღსავსე გამომეტყველებით ავუვლიდით ხოლმე ერთმანეთს გვერდს. ჩემთვის სახლებიც კი ჩვეულებრივი ნაცნობები იყვნენ. ქუჩაში მივდიოდი და თითქოს ვგრძნობდი, როგორ მისწრებდა რომელიმე ნაცნობი სახლი. როგორ მიყურებდნენ ფანჯრები და მელაპარაკებოდნენ: "გამარჯობა, ხომ კარგად ხართ? ღვთის წყალობით, მეც კარგად ვარ, მაისში ახალი სართულის შემატებას ველი." ან: "როგორ ბრძანდებით? მე კი ხელოსნები შემომესივნენ", ან: "კინაღამ დავიწვი და ძალიან შემეშინდა" და ა.შ. ამ სახლებიდან ზოგი მეტად მიყვარს, ზოგი კი ჩვეულებრივი ნაცნობია. ერთ-ერთ მათგანს განზრახული აქვს, ამ ზაფხულს არქიტექტორთან იმკურნალოს. ყოველ დღე შევივლი მასთან - საშინელება არ მოსწიონ ამ მკურნალობის დროს, ღმერთო, დაიფარე!.. მაგრამ არასდროს დამავიწყდება ერთი მშვენიერი, ღია ვარდისფერი სახლის ისტორია. ისეთი საყვარელი სახლი იყო, ქვისგან ნაგები. პირადად მე საგანგებოდ ზრდილობიანად

მხედებოდა, თავის უხეირო მეზობლებს კი ცხვირს უბზუებდა. გული სულ სიამაყითა და სიხარულით მეკვებოდა, როდესაც ამ სახლს ჩაუვუვლიდი ხოლმე. წინა კვირას გავიარე იმ ქუჩაზე, შევხედე საყვარელ, ღია ვარდისფერ სახლს და რას ვხედავ!.. რა მესმის: "მავნებლები! ბოროტმოქმედები! ყვითლად მღებავენ! არაფერი დაინდეს: არც სვეტები, არც რაფები!" - კიოდა სახლი. და... მეგობარი იადონივით გამიყვითლდა. ამის გამო კინალამ ნაღველი ჩამექცა. დღემდე არ შემიძლია ჩემი საწყალი, დამახინჯებული მეგობრის დანახვა, რომელსაც ცისქვეშეთის იმპერიის (ჩინეთი სქოლიოში) ფერი მიაღებინეს.

ახლა, ხომ გესმის, როგორ ვიცნობ პეტერბურგს, ძვირფასო მკითხველო ჩემო.

უკვე ვთქვი, რომ მთელი სამი დღის განმავლობაში უცნაური სევდა მაფორიაქებდა. ანუ მანამ, სანამ არ მივხვდი, რა იყო ამ წუხილის მიზეზი. ქუჩაშიც ცუდად ვგრძნობდი თავს (ის არ არის, ეს წასულა, ისინი მაინც სად გაქრნენ?) - სახლშიც ვერ ვისვენებდი. ორი საღამო ტვინს ვიჭყლეტდი: რა აკლია ჩემს ბინას, რა არ მაკმაყოფილებს? რატომ არ ვგრძნობ თავს მყუდროდ? და დაუღალავად ვათვალიერებდი მწვანე, ჭვარტლიან კედლებს, ობობის ქსელებით (რომლებსაც რუდუნებით ამრავლებდა მატრენა) მოფენილ ჭერს. შევისწავლე საკუთარი ავეჯი, თითოეული სკამი - იქნებ აქ იმალებოდა ასეთი უცარი დარდის მიზეზი? (ვინაიდან, თუ ჩემი რომელიმე სკამი დღეს ისე არ იდგა, როგორც გუშინ, წყობიდან გამოვდიოდი), ფანჯარაში ვიყურებოდი... ყველა ჩემი მცდელობა ამო გახლდათ, არაფერი მიმსუბუქებდა მდგომარეობას! მატრენასაც კი მამა-შვილურად ავუსხენი, რომ ნამდვილი ფეთხუმია და რომ უკვე ობობის ქსელებთან ბრძოლის გამოცხადების დროა! მაგრამ მას ხმაც არ ამოუღია, მხოლოდ გაკვირვებული მხერა მომაპყრო. ასე რომ ობობის ქსელები კვლავ მშვიდად ამშვენებენ ჩემი სახლის ჭერს. და, აი, სწორედ დღეს დილას მივხვდი, რა ხდებოდა! აჰა! ეს ხომ ვედები გარბიან ჩემგან აგარაკებისკენ. მომიტევეთ, ტრივიალური გამონათქვამია, მაგრამ, მერწმუნეთ, ნამდვილად არ მქონდა ლიტერატურულად ღირებულ ბგერებთან შერკინების თავი... რადგან ყველაფერი, რაც პეტერბურგში იყო ან უკვე გაემგზავრა აგარაკებზე, ან ახლა მიემგზავრებოდა. ყველა სოლიდური, პატივსაცემი ბატონი ოჯახის მზრუნველ მამად გადაიქცა. ისინი ჩემ თვალწინ ქირაობდნენ ეტლებს, რათა ყოველდღიურ რუტინულ ცხოვრებას გასცლოდნენ და საკუთარი ოჯახების წიაღში დაესვენათ. ახლა მათ სულ სხვაგვარი გამომეტყველება ჰქონდათ, რაღაც განსაკუთრებული, თითქოს ყოველ შემხვედრს ერთსა და იმავეს

ეუბნებოდნენ: "ბატონებო, აქ მხოლოდ ჩამოვიარეთ, ორ საათში კი უკვე აგარაკზე ვიქნებით." თუკი ფანჯარაზე შაქარივით თეთრი, თხელი თითები დააკაკუნებდნენ, შემდეგ ეს ფანჯარა გაიხსნებოდა და იმ ღამეში გოგონას თავი გამოჩნდებოდა, რომელიც ყვავილების გამყიდველს იხმობდა, მე მაშინვე წარმოვიდგენდი, რომ ეს ყვავილები გაზაფხულის სურნელით დასატკობად კი არ არიან შეტანილი ქალაქის ჩახუთულ ოთახში, არამედ სულ მალე პატრონებთან ერთად გაემგზავრებიან აგარაკზე. მეტსაც გეტყვით, იმდენად დავოსტატდი ჩემს ახალ, განსაკუთრებულ საქმიანობაში, რომ ერთი შეხედვით ვხდებოდი - ვინ რომელ აგარაკზე აპირებდა ცხოვრებას.

კამენოვოსა და აპტეკარსკოეს კუნძულის, ასევე, პეტერგოვის გზის მცხოვრებლები გამოირჩეოდნენ კარგად ათვისებული დახვეწილი მანერებით, მოხდენილი საზაფხულო კოსტიუმებითა და შესანიშნავი ეკიპაჟებით. ამ ეკიპაჟებით ისინი უთუოდ პარგოლოვის მთებისკენ მიიჩქაროდნენ და ქალაქს მოშორებულნი, საკუთარი კეთილგონიერებით, დიადი სოლიდურობით პირველივე მზერით "დაიპყრობდნენ" მთების მოსახლეობას. კრესტოვსკის კუნძულის მკვიდრი მშვიდი და, იმავედროულად, მხიარული გამომეტყველებით გამოირჩეოდნენ... თუკი როგორმე მოვახერხებდი და საფორნე ცხენების მეეტლეთა გრძელ პროცესიას მოგკრავდი თვალს, ანუ ცხენებს, მათ გვერდით ზოხინით მიმავალ სადავეებით შეიარაღებულ მეეტლეებს, ეტლებზე ახორხლილ ავეჯის მთებს (მაგიდები, სკამები, თურქული ტახტები, არათურქული ბარგი-ბარხანა, ბარგი-ბარხანის კორტოხზე უხშირესად კეთილშობილი მზარეული აღმართულიყო, რომელიც ბატონების ქონებას თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა) მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი დაიდრა და ერთ დიდ ქარავნად მიიზღაზნებოდა აგარაკებისკენ. იგივე გრძნობა მეუფლებოდა, თუ ნევასა და ფონტანკაზე მოლივლივე, საოჯახო ნივთებით დატვირთულ ნაგებს ვხედავდი. უფრო მეტიც, ერთი ნავი ათად მეჩვენებოდა. თითქოს მთელი პეტერბურგი დიდ უდაბნოდ გადაქცევას აპირებდა! ბოლოს და ბოლოს შემრცხვა, ცოტა არ იყოს მოვიწყინე კიდევ: მე რატომ არ მივდიოდი, რატომ არ მჭირდებოდა და არ მქონდა აგარაკი? უკვე მზად ვიყავი ნებისმიერ პატივსაცემ ბატონს, რომელიც ეტლს ქირობდა, აგარაკზე გავყოლოდი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მეპატიუებოდა. თითქოს ყველას დავავიწყდი, თითქოს მართლაც უცხო ვიყავი მათთვის!

იმდენი ვიარე, იმდენ ხანს ვიარე, რომ, უკვე ჩვეულებისამებრ, საერთოდ ამომივარდა თავიდან, სად ვიმყოფებოდი... უეცრად საგუშაგოსთან აღმოვჩნდი.

მაშინვე გაემხიარულდი, შლაგბაუმს გადავაბიჯე და ნათესებით სავსე ველ-
მინდვრებს გავუყევი. დაღლილობა დიდად არ მაწუხებდა, ვგრძნობდი, რომ მთელი
ჩემი არსება რაღაც საშინელი ტვირთისგან თავისუფლდებოდა. გამგლელები ისეთი
კეთილგანწყობით მიყურებდნენ, რომ ლამის თავიც კი დაეკრათ. ყველა რაღაცას
შეხაროდა და ყველა, გამონაკლისის გარეშე, სიგარას აბოლებდა. მე კი უცნაურმა
სიხარულმა ამიტანა, მსგავსი რამ არასდროს განმიცდია. თავი იტალიაში მეგონა -
იმდენად იმოქმედა ბუნებამ ჩემზე - ნახევრად ავადმყოფ ქალაქელზე, რომელიც
კინალამ დაახრჩო ამ ქალაქის ბუღმა.

პეტერბურგის ბუნებაში რაღაც განსაკუთრებული, ამოუხსნელი, სათუთი
არსი იმალება. როგორც კი გაზაფხული მობრძანდება, ეს ბუნება უეცრად
უზარმაზარ ზვირთს ემსგავსება და ზეცის მიერ ბოძებული სიმძლავრით
აფუშფუშებს, ამშვენნიერებს, ყვავილებით აჭრელებს არემარეს... ის მე საცოდავ,
თითქოსდა ავადმყოფური იერის ქალიშვილს მაგონებს, რომელსაც სინანულითა და
დროდადრო თანაგრძნობით აღსავსე სიყვარულით უცქერთ. შესაძლოა ხანდახან
ვერც კი ამჩნევთ, რომ არსებობს და რომელიც ერთ მშვენნიერ წამს, გაუგებარია
როგორ, იდუმალი, ამოუხსნელი სილამაზით ისე გაბრწყინდება, რომ თქვენ
გაოცებული თავბრუდახვეული დადგებით მის წინაშე... ვერაფრით ახსნით - რა
მოხდა. ამიტომ უნებლიეთ შეეკითხებით საკუთარ თავს: ნეტავ, რა ძალამ
ააბრჭყვიალა ეს სევდიანი, ჩაფიქრებული თვალები? საიდან გაჩნდა მიმქრალ,
ჩავარდნილ ლოყებზე ასეთი მომხიბვლელი სიწითლე? როგორ დაიღვარა ვნება
უნაზეს ნაკვთებზე? რატომ იბურცება ასე ძლიერად ეს მკერდი? საიდან
გამობრწყინდა სიცოცხლე, სილამაზე და საოცარი ძალა საწყალი გოგონას
სახეზე? რამ აიძულა? და ღიმილი? ბრჭყვიალა, კაშკაშა ღიმილი, ასეთი მჩქეფარე,
ასეთი შუშხუნა სიცილი?! ირგვლივ იხედებით, ვიდაცას ეძებთ, უკვე ყველაფერს
ხვდებით... მაგრამ წამი გაიქცა და მეორე დღეს, შესაძლოა, კვლავ ჩაფიქრებული,
დაბნეული ქალიშვილის უწინდებურად ფერმკრთალი სახე, მორჩილება, გაუბედავი
მოძრაობები დაინახოთ, უფრო მეტიც, სინდისის ქენჯნა, სინანული,
მომაკვდინებელი დარდისა და მწუხარების წარუშლელი კვალი იმ წუთიერი
გატაცების გამო... და გეცოდებათ, გეცოდებათ, რომ ძალიან, ძალიან მალე დაჭკნა
მშვენნიერება, რომელმაც თქვენ წინ ასე მაცდურად, ასე უმიზნოდ გაიბრწყინა, - ჰო,
გეცოდებათ იმიტომ, რომ უბრალოდ დროც არ მოგეცათ მისი შეყვარების...

და მაინც, ჩემი ღამე გაცილებით სჯობდა დღეს! აი, რა მოხდა:

ქალაქში ძალიან გვიან დაებრუნდი, უკვე ათი საათი იყო, როდესაც სახლს მივუახლოვდი. ჩემი სახლისკენ მიმავალი გზა არხის ნაპირას გადიოდა, ასეთ დროს იქ სულიერს ვერავის შეხვდები. მე ხომ ქალაქის განაპირას ვცხოვრობ. მივდიოდი და ვმღეროდი. საერთოდ, ყოველთვის ვმღერი, როცა ბედნიერი ვარ, როგორც ყველა ბედნიერი ადამიანი, რომელსაც არც მეგობრები ჰყავს, არც მოყვარული ნაცნობები და, შესაბამისად, არც ბედნიერების გამზიარებელნი. უეცრად საოცარი, მოულოდნელი თავგადასავალი გადამხდა.

არხის მოაჯირის კუთხეს ქალი მიყრდნობოდა, რიკულებზე გადახრილიყო და, როგორც ჩანს, დიდი ყურადღებით აკვირდებოდა ამღვრეულ წყალს. საოცრად ლამაზი, პატარა, ყვითელი შლაპა ეხურა, შავი, თითქოსდა კეკლუცი, მოკლე მანტო ეცვა. "ქალიშვილია, თან უთუოდ შავგერემანი," - გავიფიქრე უნებლიეთ. მგონი ვერ გაიგონა ჩემი ნაბიჯების ხმა, რადგან, როდესაც გვერდით ჩავუარე, არც კი განძრეულა. მე კი ამ დროს სუნთქვაც შემეკრა და სასტიკად ამიჩქარდა გული. "უცნაურია! ალბათ რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრებული..." უეცრად ადგილზე გავშეშდი. ყრუ ქვითინის ხმა მომესმა. ჰო! ნამდვილად არ მატყუებდა სმენა, ის ტიროდა, უფრო მეტიც, ქვითინებდა. ღმერთო! გული შემეკუმშა. და მიუხედავად იმისა, რომ ქალებთან ურთიერთობაში დიდი სითამამით არასდროს გამოვირჩეოდი... თუმცა, ეს ისეთი წუთები იყო! მივედი მასთან... უთუოდ "ქალბატონსაც"! ვუწოდებდი, რომ არ მცოდნოდა, რამდენი ათასჯერ არის გამოყენებული ეს მიმართვა განურჩევლად ყველა რუსულ ელიტარულ რომანში. მხოლოდ ამან შემაჩერა, მაგრამ სანამ შესაფერის მიმართვას ვეძებდი, ქალიშვილი თითქოს გამოფხიზლდა, მიმოიხედა, გონს მოეგო, თვალები დახარა და გვერდით ჩამიარა. მაშინვე დავედევნე. ის მიხვდა, რომ მივდევდი, ამიტომ სანაპირო გადაკვეთა და ტროტუარს გაუყვა. ვერ გაგებდე ტროტუარზე გადასვლა. გული ისე მიცემდა, როგორც მახეში გაბმულ ჩიტს და... უცებ "შემთხვევა" გამომეცხადა მხსნელად.

ტროტუარის მეორე მხარეს, ჩემი უცნობი ქალიშვილის გვერდით, ფრაკში გამოწყობილი, სოლიდური ასაკის (მაგრამ არც თუ ისე სოლიდური სიარულის მანერის მქონე) მამაკაცი გაჩნდა. ის მთვრალივით დადიოდა, ფრთხილად ყვრდნობოდა კედელს. ქალიშვილი ისარივით მიქროდა, თუმცა ოდნავ გაუბედავად, ანუ ისე, როგორც ყველა გოგონა, რომელსაც არ სურს, შუა ღამისას ვინმემ სახლამდე მიაცილოს. და, რასაკვირველია, მოქანავე ვაჟბატონიც ვერ დაეწეოდა, ბედისწერას რომ არ შეესხა ჩემთვის ფრთები. უეცრად, ეს ვაჟბატონი ისე, რომ

არავისთვის არაფრის თქმაც არ იკადრა, ადგილს მოწყდა და თავქუდმოგლეჯილი გაეკიდა ქალიშვილს. გოგონა ქარივით მიქროდა, მაგრამ მოყანყალე ვაჟბატონი მაინც დაეწია, ქალიშვილმა დაიყვირა. და... დიდად მადლობელი ვარ განგების, რადგან სწორედ ამ დროს მარჯვენა ხელში უბრალოდ უზადო, შესანიშნავი ჯოხი მეჭირა. წამიც არ დამჭირდა, ისე აღმოვჩნდი ტროტუარზე. დაუპატიუებელი სტუმარი მყისვე მიხვდა, რაც ელოდა, უცბად გაითვალისწინა, რაოდენ დაუძლეველი სირთულეებს უნდა შერკინებოდა, დადუმდა, გოგონას ჩამორჩა და მხოლოდ მას მერე, რაც ჩვენგან საკმაოდ მოშორებით აღმოჩნდა, ენერგიული ტერმინებით შეუდგა ჩემი საქციელის გაპროტესტებას, მაგრამ ჩვენამდე ვერც კი აღწევდა მისი სიტყვები, ჰაერში იფანტებოდა.

- ხელი მომიკიდეთ, ის ველარასოდეს ვერაფერს გაგიბედავთ, - ვუთხარი ჩემს უცნობ ქალიშვილს.

ხმაამოუღებლად გამომიწოდა ხელი, ჯერ კიდევ კანკალებდა შიშისა და მღელვარებისგან. ოჰ, დაუპატიუებლო ვაჟბატონო! რომ იცოდე, როგორ გლოცავდი იმ წუთებში! ქალიშვილს შევხედე: ლამაზი იყო და შავგვრემანი - სწორად გამომიცნია; მის შავ წამწამებზე ჯერ კიდევ ბრწყინავდნენ ცრემლები, რომლებიც ან უეცარმა შიშმა დატოვა, ან კი წარსულმა მწუხარებამ. ეს მე არ ვიცოდი. სამაგიეროდ ტუჩებზე უკვე ათამაშდა ღიმილი. შემომხედა, ოდნავ გაწითლდა და თვალები დახარა.

- აი, ხომ ხედავთ, რატომ გამაგდეთ მაშინ? იქ რომ ვყოფილიყავი, არაფერი მოხდებოდა...

- ჰო, მაგრამ არ გიცნობდით: მეგონა, თქვენც ისეთივე...

- ახლა მიცნობთ?

- ცოტა. აი, მაგალითად, რატომ კანკალებთ?

- ზუსტად გამოიცანით, დროც არ დაგჭირდათ! - ვუპასუხე აღფრთოვანებულმა, რადგან დავასკვენი, რომ ჩემი უცნობი ქალიშვილი ჭკვიანი იყო: ეს კი არასდროს უშლის ხელს სილამაზეს. - ჰო, დროც არ დაგჭირდათ ისე გამოიცანით, როგორი ვარ. ნამდვილად მერიდება ქალებთან ურთიერთობა, ყოველთვის ენერგიულობ, არ ვკამათობ, აი, ზუსტად ისეთი ვარ, როგორიც თქვენ იყავით წუთის წინ, იმ კაცმა რომ შეგაშინათ... ახლა მე მეშინია. თითქოს სიზმარია. არა, სიზმრადაც ვერ ვნახავდი, რომ ოდესმე რომელიმე ქალთან ლაპარაკს შევძლებდი.

- როგორ? ნუთუ მართლა ასეა?..

- ჰო, ხელი იმიტომ მიკანკალებს, რომ ამ ხელს ჯერ არასდროს შეხებია ასეთი ლამაზი, ასეთი პატარა ხელი. სრულიად გადავეჩვიე ქალებს, კი არ გადავეჩვიე, უბრალოდ არასდროს შევჩვევივარ. მე ხომ სულ მარტო ვარ... ისიც არ ვიცი, როგორ უნდა ველაპარაკო მათ. აი, ახლაც - სისულელე ხომ არ ვთქვი? მითხარით, არ დამიმალოთ, არ მეწყინება, არ ვარ გულბოროტი...

- არა, რას ამბობთ, პირიქით. თუ ჩემგან გულახდილობას ითხოვთ, გეტყვით, რომ ქალებს ძალიან მოსწონთ ამგვარი გაუბედაობა, თუ მეტის ცოდნა გინდათ... მეც მომწონს, უფლებას გაძლევთ სახლამდე მიმაცილოთ.

- თქვენ ახლა მე, - ძლივს ვლაპარაკობდი, აღფრთოვანება მასჩნობდა, - საოცრებას მჩუქნით, ანუ როგორც კი გაქრება ეს რიდი, მაშინ - ყველა ხრიკს უნდა დავემშვიდობო!..

- რა ხრიკებს? რაში გჭირდებათ ისინი? ეს უკვე ცუდი საქციელია.

- დამნაშავე ვარ, აღარაფერს ვამბობ, უბრალოდ წამომცდა, მაგრამ როგორ გესახებათ, რომ ასეთ დროს არ გაჩნდეს სურვილი...

- ანუ, მოწონება?.. თუ რა?

- დიახ, რასაკვირველია, ღვთის გულისათვის არ გამკიცხოთ. თავად განსაჯეთ - ვინ ვარ მე! უკვე ოცდაექვსი წელი შემისრულდა და ჯერ არასდროს არავინ მინახავს. როგორ შევძლებ ნორმალურად საუბარს? თქვენთვისაც ასე აჯობებს... კარგია, როდესაც ყველაფერი იცით, ყველაფერი ნათელია... არ შემძლია დუმილი მაშინ, როდესაც გული ბობოქრობს. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს... დამიჯერებთ? არც ერთი ქალი, არასდროს, არასდროს! არანაირი ნაცნობობა! მხოლოდ ვოცნებობ, ყოველდღე ვოცნებობ, რომ ოდესმე, ბოლოს და ბოლოს, ვიდაცას შევხვდები. რომ იცოდეთ, რამდენჯერ ვყოფილვარ შეყვარებული ასე!..

- ჰო, მაგრამ, ვინ გიყვარდათ?..

- არავინ, მხოლოდ იდეალი, იდეალი, რომელიც მესიზმრებოდა. ოცნებებში უხარმაზარ რომანებს ვთხზავ. არა, თქვენ არ მიცნობთ! ორ-სამ ქალს შევხვედრივარ, მაგრამ იცით, როგორები იყვნენ ისინი? რაღაც დიასახლისები, აი, ისეთები, რომ... ახლა ძალიან გაგეცინებათ - რამდენჯერმე ვცადე, ქუჩაში გამოვლაპარაკებოდი რომელიმე არისტოკრატ ქალბატონს, რა თქმა უნდა, იმ დროს, როდესაც მარტო სეირნობდა. მინდოდა დავლაპარაკებოდი გაუბედავად, ზრდილობიანად, იმაგდროულად, საკმაოდ მგზნებარედ. კარგად ამეხსნა

ქალბატონისთვის, რაოდენ მარტოსული ვიყავი და როგორ ვიღუპებოდი, როგორ არ მქონდა ქალების გაცნობის არანაირი საშუალება. ისიც გადავწყვიტე შთამეგონებინა მისთვის, რომ ზოგადად ქალები უბრალოდ ვაღდეულები არიან, არ უარყონ ჩემნაირი უბედური მამაკაცის ვედრება. ბოლოს და ბოლოს, ერთადერთი, რასაც ვითხოვდი, თანაგრძნობა იყო, ანუ - არ გავეგდე, უბრალოდ მოესმინა ჩემთვის, მხოლოდ ორიოდ სიტყვა ეთქვა, რაღაცის იმედი მოეცა, თუნდაც დაეცინა, მერე კი... მერე, შესაძლოა არც აღარასდროს შევხვედროდი ერთმანეთს!.. გეცინებათ... თუმცა, მეც სწორედ იმისთვის ვლაპარაკობ, რომ თქვენ გაიცინოთ...

- ნუ განიცდით; ვიცინი, რადგან კარგად ვხედავ, როგორ ებრძვით საკუთარ თავს, საკუთარი თავის მტერი ხართ. ერთხელ მაინც რომ გეცადათ, უთუოდ გამოგივიდოდათ, აი, თუნდაც ქუჩაში, რაც უფრო მარტივია ყველაფერი, მით უკეთესია... არც ერთი კეთილი ქალი, თუ ძალიან სულელი, ან იმ წუთებში ვინმეზე სასტიკად განრისხებული არ არის, არ დაიშურებდა თქვენთვის იმ ორიოდ სიტყვას, რომლის გაგონებაზეც ოცნებობთ... თუმცა, რა მეთქმის! მეც ხომ უთუოდ ვიფიქრებდი, რომ შეშლილი ხართ, ანუ საკუთარი თავის მიხედვით ვიმსჯელებდი, რადგან შესანიშნავად ვიცი, როგორ ცხოვრობენ ადამიანები!

- რომ იცოდეთ... უზომოდ მადლობელი ვარ! - წამოვიძახე მე, - არც კი წარმოგიდგენიათ, რა გააკეთეთ ჩემთვის!

- კარგი, კარგი! მაგრამ, ძალიან გთხოვთ მითხარით, რატომ იფიქრეთ, რომ მე ისეთი ქალი ვარ, რომელიც... ღირსი თქვენი ყურადღებისა და მეგობრობის... ერთი სიტყვით, რაღაც ღიასახლისი კი არ ვარ, არამედ... რატომ გადაწყვიტეთ ჩემთან მოახლოება და გამოლაპარაკება?

- რატომ? რატომ? უბრალოდ მარტო იყავით, ის ვაჟბატონი კი ძალიან თამამი ბრძანდებოდა, ახლა ღამეა: დამეთანხმეთ, რომ ეს ჩემი მოვალეობა იყო...

- არა, არა, მანამდე, ტროტუარის მოპირდაპირე მხარეს. მაშინაც ხომ აპირებდით ჩემთან მოსვლას?

- მეორე მხარეს? არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ, მეშინია... იცით, დღეს ბედნიერი ვიყავი. მივდიოდი და თან ვმღეროდი, ქალაქგარეთ აღმოვჩნდი... ასეთი ბედნიერი წუთები ჯერ არ განმიცდია. თქვენ... შესაძლოა, მომეჩვენა... მაპატიეთ, მაგრამ მომეჩვენა, რომ ტიროდით და მე... ვერ გავუძელი... გული შემეკუმშა... ღმერთო ჩემო! განა არ შეიძლება, შევწუხდე, ავღელდე თქვენ გამო? ნუთუ

თანაგრძნობა ცოდვას?... ერთი სიტყვით, მითხარით: გაწყენინეთ? მე უნებლიეთ მოვედი თქვენთან... გაწყენინეთ?..

- საკმარისია, ნულარაფერს მეუბნებით... - მითხრა ქალიშვილმა, თვალები დახარა და ხელზე ხელი მომოჭირა. - თვითონ ვარ დამნაშავე, ტყუილად წამოვიწყე ეს საუბარი, მაგრამ მაინც მიხარია, რომ არ შევცდი - სწორედ ისეთი ხართ, როგორც მეგონეთ... მაგრამ უკვე სახლთან ვართ. ამ გზაჯვარედინიდან ორი ნაბიჯია... მშვიდობით, გმადლობთ...

- როგორ, როგორ... ნუთუ აღარასდროს ვნახავთ ერთმანეთს?... ნუთუ ყველაფერი ძველებურად დარჩება?

- აი, ხედავთ? - გაიცინა ქალიშვილმა, - თავდაპირველად ორიოდ სიტყვას ითხოვდით, ახლა კი... თუმცა... იქნებ, შევხვდეთ...

- ზუსტად აქ მოვალ ხვალ. მაპატიეთ, მე უკვე ვითხოვ...

- ჰო, მოუთმენელი ხართ... თითქმის ითხოვთ...

- მომისმინეთ, მომისმინეთ! - ლაპარაკი შევაწყვეტინე, - მაპატიეთ, თუ ისევ რაღაც სისულელეს გეტყვით... მაგრამ არ შემიძლია, არ მოვიდე ხვალ აქ. მე მეოცნებე ვარ, ჩემს ცხოვრებაში იმდენად ცოტა რამაა რეალური, რომ ასეთი წუთები... ასეთი წუთები თითქმის არ არსებობს და არ შემიძლია, არ შემიძლია, არ ვიოცნებო მათზე. ამ წუთებს ოცნებით გავიმეორებ, მთელი დამე თქვენზე ვიოცნებებ... მთელი კვირა, მთელი წელი. აუცილებლად მოვალ ხვალ აქ, ზუსტად ამ ადგილას, ზუსტად ამ დროს, გუშინდელს გავიხსენებ და ბედნიერი ვიქნები. ეს ადგილი უკვე მიყვარს. არის პეტერბურგში ჩემთვის ასეთივე საყვარელი ორი-სამი ადგილი. ერთხელ ვიტირე კიდევ, როდესაც მომაგონდა, როგორც თქვენ... ვინ იცის, იქნებ ათი წუთის წინ თქვენც მოგონებებმა აგატირათ... მაპატიეთ, კვლავ დავიბენი. იქნებ ოდესმე სწორედ აქ იყავით განსაკუთრებულად ბედნიერი.

- კარგი, - მიპასუხა ქალიშვილმა, - ხვალ, ათ საათზე მოვალ, ზუსტად აქ. ვხედავ, უკვე ვეღარ აგიკრძალავთ... საქმე ის არის, რომ მე აუცილებლად უნდა მოვიდე აქ, მაგრამ არ იფიქროთ, თქვენთან შესახვედრად კი არა... ასეა საჭირო ჩემთვის. ჰო... არ დაგიმაღლავთ: ცუდი არ იქნება, თუ თქვენც მოხვალთ. პირველ ყოვლისა, დღევანდელი უსიამოვნების მსგავსი აღარაფერი განმეორდება, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი... ერთი სიტყვით, უბრალოდ თქვენი ნახვა მინდა... რაღაც მაქვს სათქმელი. ხომ არ გამიციხავთ? ხომ არ ფიქრობთ, რომ პაემანზე

გეპატიუებით... თქვენთან პაემანზე უარს არ ვიტყვოდი, მაგრამ... იცით, ეს ჩემი საიდუმლო იქნება! მხოლოდ ერთ რამეზე წინასწარ შევთანხმდეთ...

- შევთანხმდეთ! ყველაფერი მითხარით, წინასწარ მითხარით. ყველაფერზე თანახმა ვარ, ყველაფრისთვის მზად ვარ! - ვყვიროდი აღფრთოვანებული, - თითოეულ საქციელზე პასუხს ვაგებ, წინააღმდეგობას არაფერში გაგიწევთ, პატივისცემას არ მოგაკლებთ... თქვენ ხომ უკვე მიცნობთ...

- ჰო, გიცნობთ და სწორედ ამიტომ გეპატიუებით ხვალ აქ, - გაიცინა ქალიშვილმა, - შესანიშნავად გიცნობთ. მაგრამ თუ მოხვალთ, ერთი რამ იცოდეთ (გულწრფელად გაფრთხილებთ, ამიტომ - კარგად დაიმახსოვრეთ და შეასრულეთ!) - არ უნდა შემიყვაროთ... დამიჯერეთ, ჩემი შეყვარება არ შეიძლება. გარწმუნებთ, ეს მართლა შეუძლებელია. მეგობრობაზე თანახმა ვარ... შეყვარებით კი... ძალიან გთხოვთ, არ შემიყვაროთ! ჩემი შეყვარება არ შეიძლება!

- ვვიცავ! - კვლავ წამოვიყვირე მე და ხელზე ხელი მოვკიდე...

- არა, რა საჭიროა ფიცი, უკვე ვიცი, რომ დენთივით შეგიძლიათ აფეთქება. ხომ არ გეწყინათ? რომ იცოდეთ... მეც არავინ მყავს, არავინ, ვისთანაც თუნდაც ერთი სიტყვის თქმა შემეძლოს, უბრალო რჩევასაც კი ვერავის ვთხოვ. ეს ბუნებრივია, ქუჩაში ხომ ვერ ვიპოვი მეგობრებს, თქვენ გამონაკლისი ხართ. უკვე ისე გიცნობთ, თითქოს ოცი წელია, რაც ვმეგობრობთ... ხომ არასდროს მიღალატებთ?..

- აი, ნახავთ... ოღონდ არ ვიცი, როგორ გავძლო თუნდაც ოცდაოთხი საათი.

- დაიძინეთ, რაც შეიძლება ღრმად. ძილი ნებისა - და გახსოვდეთ, რომ მე თქვენ უკვე გენდობით. მაგრამ რა შესანიშნავად თქვით: როგორ გავძლო თუნდაც ოცდაოთხი საათი... ნუთუ, ყოველი გრძნობის გადმოცემა შეიძლება? ასეთი უბრალო თანაგრძნობისაც კი... და მაინც, თქვენ ეს ისე მითხარით, რომ მზად ვარ გაგანდოთ...

- ღმერთო ჩემო, ასეთი რა? რა უნდა გამანდოთ?

- ხვალამდე. ჯერჯერობით საიდუმლოდ დარჩეს. თქვენთვისაც ასე აჯობებს. შორიდან მაინც დაემსგავსება რომანს. შეიძლება ხვალვე გითხრათ, შეიძლება არც გითხრათ... ბევრს ვილაპარაკებთ და უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს...

- ჰო, ხვალ მეც ყველაფერს გიამბობთ ჩემ შესახებ! მაგრამ რა ხდება? რაღაც საოცრება მემართება... ღმერთო ჩემო, სად ვარ? არა, მითხარით, ნუთუ უკმაყოფილო ხართ იმით, რომ არ გაბრაზდით და სხვების მსგავსად პირველივე

წუთებში არ მომიშორეთ თავიდან? ზუსტად ორ წამში სამუდამოდ გამაბედნიერეთ. დიას! გამაბედნიერეთ. არავინ იცის, რა მოხდა, იქნებ საკუთარ თავთან შემარიგეთ, ეჭვები გაფანტეთ ჩემი... შეიძლება... ასეთი წუთებიც განმიცდია. კარგი, ყველაფერს გაიმბობთ ხვალ, ხვალ...

- მესმის, მისაღებია; თქვენ დაიწყებთ...
- თანახმა ვარ.
- ნახვამდის!
- ნახვამდის!

და ერთმანეთს დაგშორდით. მთელი ღამე დავდიოდი, ვერ გადამეწყვიტა შინ დაბრუნება. ისეთი ბედნიერი ვიყავი... ხვალამდე!

ღამე მეორე

- აი, გავიდა ოცდაოთხი საათი! - იცინოდა და ორივე ხელით მიჭერდა ხელებს.
- უკვე ორი საათია აქ ვარ, ვერ წარმოიდგენთ, რა მჭირდა მას აქეთ, რაც დავშორდით!

- ვიცი, ვიცი... მაგრამ საქმეზე უნდა ვილაპარაკოთ. ახლა ავიხსნით, რატომ მოვედი. გუშინდელივით სისულელეების ლაპარაკის დრო აღარ არის. მომავალში უფრო ჭკვიანურად უნდა მოვიქცეთ. ღამით ძალიან ბევრი ვიფიქრე.

- უფრო ჭკვიანურად? მზად ვარ, მაგრამ ასე მგონია ცხოვრებაში არაფერი გადამხდენია უფრო ჭკვიანური, ვიდრე ის, რაც ახლა ხდება.

- მართლა? პირველ ყოვლისა, გთხოვთ, ასე ძლიერად ნუ მიჭერთ ხელებს და მეორე - გეუბნებით: ძალიან ბევრი ვიფიქრე თქვენზე.

- რითი დამთავრდა ეს ფიქრები?

- რითი დამთავრდა? დამთავრდა იმით, რომ დავასკვნე - მე თქვენ სრულიად არ გიცნობთ, გუშინ ბავშვივით მოვიქეცი, ამის მიზეზი ჩემი სიკეთეა, ანუ საკუთარი თავის განდიდება მომიხდა... ჰო, ასე მთავრდება ზოგადად ყოველი გულახდილი საუბარი. იმისთვის, რომ ეს შეცდომა გამოვასწორო გადავწყვიტე ყოველი წვრილმანი შევიტყო თქვენ შესახებ. მაგრამ რადგან შეუძლებელია სხვა ადამიანებისგან თქვენზე რაიმეს გაგება, თავად უნდა მითხრათ ყველაფერი,

ყველაფერი დაუფარავად. რას წარმოადგენთ, ვინ ხართ? დაიწყეთ, სასწრაფოდ მიახლოეთ თქვენი ისტორია.

- ისტორია! - წამოვიყვირე შეშინებულმა, - ისტორია! ვინ გითხრათ, რომ საერთოდ მაქვს ისტორია?..

- კი მაგრამ, რანაირად იცხოვრეთ ისტორიის გარეშე? - სიცილით შემაწყვეტინა საუბარი.

- ვიცხოვრე, ყოველგვარი ისტორიის გარეშე ვიცხოვრე! როგორც ჩვენში ამბობენ - ჩაკეტილი... სრულიად მარტო ვიყავი. თქვენ გესმით, რას ნიშნავს - სრულიად მარტო?

- როგორ? არასდროს არავინ გინახავთ?

- მინახავს... და მაინც მარტო ვიყავი.

- ნუთუ არავის ესაუბრებოდა?

- არავის.

- გამაგებინეთ, ვინ ხართ! მგონი ვხვდები: ნამდვილად ბებია გყავთ, ჩემსავით. ის ბრმაა და მთელი ცხოვრების განმავლობაში არსად მიშვებდა - თითქმის გადამაჩვია ლაპარაკს. დაახლოებით ორი წლის წინ მიხვდა, რომ ველარაფრით დამაკავებდა და ჩემი კაბის კალთა ქინძისთავით გამოაბა საკუთარს. ასე ვსხედვართ მას აქეთ მთელი დღეების განმავლობაში. ის წინდებს ქსოვს, მიუხედავად იმისა, რომ ბრმაა, მე კი გვერდით ვუხივარ - ან რაიმეს ვკერავ, ან წიგნებს ვუკითხავ. უცნაური ყოფა შემექმნა, უკვე ორი წელიწადია ქინძისთავით მიბმული ვცხოვრობ...

- ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა! არა, მე არ მყავს ასეთი ბებია.

- მაშინ არ ვიცი. რატომ, როგორ შეგიძლიათ სულ სახლში ჯდომა?

- მომისმინეთ, თქვენ გაინტერესებთ ვინ ვარ, ხომ ასეა?

- ჰო, ჰო, ჰო!

- ვინ - ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით?

- სრული!

- ჰოდა, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ საკუთარი თავი, თქვენ წინაშეა - ტიპი.

- ტიპი, ტიპი! როგორ ტიპი? - წამოიძახა ქალიშვილმა და ისე ახარხარდა, თითქოს მთელი წელია არ გაუცინია. - ჰო, თქვენთან ვერ მოიწყენ! შეხედეთ, იქ პატარა სკამია, წავიდეთ, დავსხდეთ! არავინ დადის, ვერავინ ვერაფერს გაიგონებს,

ასე რომ მიამბეთ თქვენი ისტორია! დარწმუნებული ვარ, ნამდვილად არსებობს ეს ისტორია, უბრალოდ მიმაღლავთ. პირველ ყოვლისა, რას ნიშნავს ტიპი?

- ტიპი? ტიპი ორიგინალური, სასაცილო ადამიანია! - ვუპასუხე და თვითონაც ავხარხარდი, მისი ბავშვური სიცილი გადამედო. - ხასიათია ერთგვარი. მომისმინეთ: იცით თუ არა, რა არის მეოცნებე?

- მეოცნებე? როგორ არ ვიცი, მე თვითონ მეოცნებე ვარ! ბებიასთან ვზივარ ხოლმე და რაღას არ წარმოვიდგენ! ოცნებაში ჩინეთის პრინცსაც კი გავეყოლივარ ცოლად... ოცნება შესანიშნავია! თუმცა, არ ვიცი, ერთმა ღმერთმა იცის! განსაკუთრებით თუ ოცნების გარდა სხვა საფიქრალიც გაქვს, - ეს ბოლო ფრაზა ქალიშვილმა ძალიან სერიოზულად წარმოთქვა.

- ბრწყინვალეა! რადგან ჩინეთის ღვთიურ მონარქსაც კი გაჰყოლიხართ ცოლად, ნამდვილად მიხვდებით, ვინ ვარ მე. აბა, კარგად მისმინეთ, ვიწყებ... მაპატიეთ, მაგრამ სახელი რომ არ ვიცი თქვენი?

- როგორც იქნა! საკმაოდ ადრე გაგახსენდათ!

- ღმერთო ჩემო! სახელის გარეშეც ისე კარგად ვგრძნობდი თავს, რომ აზრადაც არ მომსვლია...

- ნასტენკა.

- ნასტენკა? სხვა არაფერი?

- რას ნიშნავს სხვა არაფერი? ცოტაა თუ რა? ვერ გავიგე, რა სიხარბეა!

- ცოტაა? არა, პირიქით, ბევრია, ძალიან ბევრი. ყველაზე კეთილი ხართ, სწორედ იმიტომ, რომ პირველივე წუთებში ნასტენკა გახდით ჩემთვის.

- აჰა! დაიწყეთ!

- კარგი ნასტენკა, მისმინეთ, საკმაოდ სასაცილო ისტორია გამოდის.

მის გვერდით ჩამოფეჭე, პედანტურობამდე სერიოზული პოზა მივიღე და ისე დავიწყე, თითქოს რაღაც ნაწერს ვკითხულობდი.

- თუ არ იცით, ახლავე შეგატყობინებთ ნასტენკა, რომ პეტერბურგში საკმაოდ უცნაური ადგილებია. ამ ადგილებს ის მზე არ ანათებს, რომელიც პეტერბურგის მოსახლეობის ცხოვრებას აცისკროვნებს, მნათობი ამ ადგილებისა თითქოს სპეციალურად შეუქმნიათ და ის სავსებით განსხვავებულ, განსაკუთრებულ სინათლეს აშუქებს. ამ ადგილებში, ჩემო ნასტენკა, სხვაგვარად მიედინება წუთისოფელი, ის სრულიად არ ჰგავს პეტერბურგის მჩქეფარე ცხოვრებას, შესაძლოა, ასე ცხოვრობდნენ ოცდაათ მთასა და ოცდაათ ბარს მიღმა

არსებულ უჩინარ სამეფოში და არა ჩვენთან, ჩვენს სერიოზულზე სერიოზულ ეპოქაში. ამ ცხოვრებაში შეზავებულია ფანტასტიკა, მგზნებარე იდეალი და, იმავდროულად (სამწუხაროდ ასეა, ნასტენკა!), მერთალი პროზა, ჩვეული ყოფა, ანუ ჩვეულებრივი, რომელსაც სასწაულებრივად უხამსიც კი შეიძლება ეწოდოს.

- ოჰო! ღმერთო ჩემო! როგორი წინასიტყვაობაა! კიდევ რას გავიგონებ, ნეტავ?

- გაიგონებთ, ნასტენკა (ასე მგონია არასდროს მომბეზრდება თქვენი სახელის გამეორება) გაიგონებთ, რომ ამ ადგილებში უცნაური ადამიანები ცხოვრობენ და მათ მეოცნებეები ჰქვიათ. მეოცნებე - თუკი ამ მცნების ზუსტი განსაზღვრა საჭიროა - ადამიანი არ არის, ის მხოლოდ არსებაა საშუალო სქესის. ის ძირითადად მიუდგომელ კუთხეებს ირჩევს საცხოვრებლად, თითქოს უნდა, რომ მზის შუქსაც დაემალოს და დაიდებს თუ არა სადმე ბინას, ისე მიეჯახება საკუთარ სამყოფელს, როგორც ლოკოკინა ეკვრის თავის ნიჟარას - ამ თვალსაზრისით ძალიან ჰგავს საკმაოდ საინტერესო არსებას, რომელიც ერთდროულად ცხოველიც არის და სახლიც და რომელსაც კუ ჰქვია. როგორ ფიქრობთ, რატომ უყვარს მეოცნებეს ასე ძლიერად თავისი ოთხი კედელი, ოთხივე უთუოდ მწვანედ შეღებილი, ჭვარტლიანი, თითქოს მოწყენილი და უბრალოდ დაუშვებლად გაბუღული? როგორ ფიქრობთ, რატომ იბნევა, რატომ ეცვლება სახე ამ სასაცილო ვაუბატონს მაშინ, როდესაც მის სანახავად რომელიმე ნაცნობი მოდის (ეს ნაცნობები ისედაც ძალიან ცოტა ჰყავს და საბოლოოდ ვინც ჰყავს იმათაც კარგავს). რატომ? განა მან თავის ოთხ კედელში დანაშაული ჩაიდინა? ყალბი საბუთები გაამზადა? ან ჟურნალის რედაქციაში გაგზავნა ლექსები ანონიმური წერილით, ამ წერილში კი დაწერა, რომ ლექსების ავტორი მოკვდა და მეგობარი თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიიჩნევს, გამოაქვეყნოს განსვენებულის პოეზია? მითხარით ნასტენკა, რატომ ვერ ახერხებს სხვა ადამიანებთან საუბარს? არ ადევლებს თანამოსაუბრის სიცილი, ხუმრობა, სხრატი გამონათქვამები, ლაპარაკი მშვენიერი სქესის წარმომადგენლების შესახებ და სხვა მხიარული თემები? ბუნებრივია, თანამოსაუბრეც (რომელიც, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ნაცნობთაგანია) პირველივე ვიზიტის დროს - მეორე ვიზიტი, რასაკვირველია, აღარ იქნება - იშმუშნება, თითქოსდა ერთ ადგილზე ქვავედება და კარგავს იუმორის გრძნობას (თუკი მას ეს გრძნობა აქვს), გაკვირვებული უყურებს მასპინძლის უკან გადაწეულ სახეს - იმ მასპინძლის, რომელიც აღარც კი

ცდილობს, მხარი აუბას სტუმარს, როგორმე გაახალისოს საუბარი, არისტოკრატიული მანერები წარმოაჩინოს, თავადაც ალაპარაკდეს მშვენიერი სქესის წარმომადგენლებზე და ამგვარი მორჩილებით მაინც მოაწონის თავი გზააბნეულ ნაცნობს, რომელმაც უკვე ზუსტად იცის, რომ ვიზიტისთვის არასწორი მისამართი აირჩია. ბოლოს და ბოლოს, ამ ნაცნობს უეცრად ახსენდება - გადაუდებელი საქმე აქვს! ასეთი მნიშვნელოვანი საქმე ჯერ არასდროს ჰქონია! შლაპას იღებს და დამწვიდობების დროს ძლივს ითავისუფლებს ხელებს მასპინძლის მხურვალე ხელებისგან, რომელიც ცდილობს დაანახოს სტუმარს, როგორ ნანობს და რაოდენ ძლიერ სურს, გამოასწოროს ჩადენილი დანაშაული. რატომ ნასტენკა, გამაგებინეთ რატომ იცინის კარს მიღმა ასე ხმამაღლა მეოცნების ნაცნობი? რატომ აძლევს პირობას საკუთარ თავს, აღარასდროს ესტუმროს ამ უცნაურ ადამიანს? ეს უცნაური ადამიანი ხომ შესანიშნავი პიროვნებაა, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს - საკუთარ თავს პატარა კაპრიზზე უარი ვერ უთხრა. და, აი, რა იყო ეს კაპრიზი: მეოცნებე მთელი ვიზიტის განმავლობაში, აწ უკვე ყოფილი თანამოსაუბრის ფიზიონომიას საცოდავ, გაწურულ კატას ადარებდა, რომელიც ბავშვებმა მუხანათურად დაატყვევეს და სასტიკად შეაშინეს, ახლა კი, როდესაც თავი გაითავისუფლა, სკამის ქვეშ შეიყუჟა, სიბნელეში ზის - ერთი საათი მაინც დასჭირდება გონზე მოსასვლელად, მანამდე კი იძულებულია, ბეწვი გაისწოროს, იფრუტუნოს, თათებით გაიწმინდოს სახე და გამწარებული, მრისხანე თვალებით უყუროს მთელ სამყაროს - თავად ბატონების სადილის ნარჩენებსაც კი, რომელიც მისი უბედურებით აღელვებულმა გასაღებების მცველმა მოუტანა.

- მომისმინეთ, - შეაწყვეტინა ნასტენკამ. ის მთელი ამ ხნის განმავლობაში გაკვირვებული, ფართოდ გახელილი თვალებით მისმენდა. - მომისმინეთ: სულ დავიბენი, არ ვიცი, რატომ ხდება ასე და რატომ მისვამთ ასეთ სასაცილო შეკითხვებს. ერთადერთი, რაშიც ნამდვილად დარწმუნებული ვარ, არის ის, რომ ეს ყველაფერი თქვენ გადაგხდათ თავს.

- რა თქმა უნდა, - ვუპასუხე რამდენადაც შემეძლო სერიოზული გამომეტყველებით.

- თუ ასეა, განაგრძეთ, - მიპასუხა ნასტენკამ, - ძალიან მინდა გავიგო, როგორ დამთავრდება თქვენი მონათხრობი.

- ანუ, გინდათ იცოდეთ, რას აკეთებდა ჩვენი გმირი თავის კუთხეში, უფრო სწორად რომ ვთქვათ - მე, რადგან გმირი სწორედ მე ვარ - ჩემი

მოკრძალებული პერსონა. გინდათ, იცოდეთ, რატომ ამიძღვრია გონება ნაცნობის უეცარმა ვიზიტმა? რატომ გავწითლდი, როდესაც ჩემი ოთახის კარი გააღეს, რატომ ვერ მივიღე სტუმარი და ასე სამარცხვინოდ გამსრისა საკუთარი სტუმართმოყვარეობის სიმძიმემ?

- ჰო, ჰო, ჰო! - მიპასუხა ნასტენკამ, - მომისმინეთ: თქვენ ბრწყინვალედ მიყვებით ყველაფერს, მაგრამ არ შეიძლება, ცოტა ნაკლებად ბრწყინვალედ მომიყვეთ? ასე მგონია, წიგნს მიკითხავთ.

- ნასტენკა! - ვუპასუხე მკაცრი ხმით, თან ძლივს ვიკავებდი სიცილს, - ნასტენკა, ჩემო კარგო, ვიცი, რომ ბრწყინვალედ ყვეები, მაგრამ დამნაშავე ვარ - სხვანაირად მოყოლა არ შემიძლია. მე ახლა მეფე სოლომონის სულს ვგავარ, რომელიც ათასი წლის განმავლობაში შვიდი ლუქით დაბეჭდილ დოქში იყო გამომწვევდელი და უცებ შვიდივე ლუქი ახსნეს. ახლა, ჩემო ნასტენკა, როდესაც ხანგრძლივი განშორების შემდეგ მე და თქვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს... კვლავ - იმიტომ, რომ დიდი ხანია გიცნობთ... უფრო სწორად... დიდი ხანია ვიღაცას ვეძებ, ჩვენი შეხვედრა კი ნიშანია იმისა, რომ სწორედ თქვენ გეძებდით, ანუ ასე ინება ბედისწერამ, ჩემს ტვინში ათასი სარკველი ერთად გაიხსნა და ყველაფერი, რასაც ეს სარკველები გუღმოდგინედ კეტავდნენ, სიტყვების ნიაღვრად უნდა აფეთქდეს... სხვაგვარად დავეიხრჩობი. ჰოდა, თუ შეიძლება, ნასტენკა, აღარ შემაწყვეტინოთ, მომისმინეთ ჩუმად და მორჩილად, თორემ დავღუბდები.

- არა, არა, არა! არავითარ შემთხვევაში! ილაპარაკეთ! სიტყვასაც აღარ დავძრავ.

- ვაგრძელებ: ნასტენკა ჩემო მეგობარო, მთელი დღის განმავლობაში არსებობს ერთი საათი, რომელიც განსაკუთრებულად მიყვარს. ეს ის საათია, როდესაც ადამიანები თითქმის ყველა საქმიანობას ამთავრებენ, სახლებისკენ მიიჩქარიან, რათა ისადილონ, დაისვენონ და ტახტებზე წამოწვენენ - თან კი ფიქრობენ, როგორ შეძლონ, რაც შეიძლება სასიამოვნოდ გაატარონ სადამო, ღამე და საერთოდ დარჩენილი თავისუფალი დრო. სწორედ ამ საათზე ჩვენი გმირი, - ნასტენკა, ახლა ნება მიბოძეთ თხრობა მესამე პირში გავაგრძელო, რადგან პირველ პირში ლაპარაკი უკვე შემრცხვება, - ჰო, ჩვენი გმირი, რომელიც სულაც არ გახლავთ უსაქმოდ, ქუჩაში მიაბიჯებს სამუშაო ადგილებიდან დაბრუნებულთა კვალდაკვალ. მის გათეთრებულ, თითქოსდა მიმქრალ სახეზე უცნაური კმაყოფილება ლიცლიცებს. ახლა სულაც არ უყურებს გულგრილად ჩამავალი მზის

სხივებს, რომლებიც ნელ-ნელა ფერმკრთალდება პეტერბურგის გაყინულ ცაზე. უყურებს, არ უყურებს - ცოტა არ იყოს ხმამაღალი ნათქვამია. არა, ის არაფერს უყურებს, მაგრამ უნებლიეთ აღიქვამს ამ მშვენიერებას - აი, როგორც დაღლილი და, იმავდროულად, სხვა უფრო საინტერესო საქმით დაკავებული ადამიანი, მისდაუნებურად შეავლებს ხოლმე თვალს ყოველივეს, რაც მისი მხედველობის არეში ექცევა.

ის კმაყოფილია, რადგან ხვალამდე თავისუფალია ყოველდღიური, რუტინული საქმიანობისგან და ისეთი გახარებულია, როგორც სკოლის მოწაფე, რომელიც ეს-ეს არის კლასიდან გამოვიდა, ახლა კი საყვარელ თამაშობებსა და ცელქობას დაუბრუნდა.

- ნასტენკა, შეხედეთ მეოცნებეს და მყისვე მიხვდებით, როგორ დაამშვიდა სიხარულმა მისი სუსტი ნერვები, როგორ გაასხივოსნა ავადმყოფურად აღგზნებული ფანტაზია. ხედავთ? ახლა რაღაცაზე დაფიქრდა... გგონიათ სადილზე? დღევანდელ სადამოზე? რას უყურებს? ნუთუ იმ სოლიდური გარეგნობის ვაჟბატონს, რომელმაც ასე "თვალისმომჭრელად" დაუკრა თავი ბრწყინვალე, ციგურებიან კარეტაში დაბრძანებულ ქალბატონს? არა ნასტენკა, ეს მისთვის წვრილმანია!.. ის ხომ ახლა უკვე მდიდარია საკუთარი განსაკუთრებული ცხოვრებით. ჰო, უეცრად გამდიდრდა და ჩამავალი მზის თითქმის მიმქრალი სხივებიც სწორედ ამიტომ ბრწყინავენ ასე მხიარულად, გამთბარ გულს სასიამოვნო შთაბეჭდილებათა მთელი გუნდი აცეკვებს. ვეღარც კი ამჩნევს იმ გზას, რომლის თითოეული დეტალი ადრე ემოციების ქარიშხალს იწვევდა. ჰო, ნასტენკა, მისმა "ქალღმერთმა ფანტაზიამ" (თუ წაგიკითხავთ ჟუკოვსკი) უჩინარი ხელით მოუქსოვა ოქროს საძირკველი და ახლა ღამაზ-ღამაზი მაქმანებით ამკობს - აფენს და აფენს მის წინაშე საუცხოო, უცნაური, არნახული ცხოვრების ხალიჩას და ვინ იცის, იქნებ უჩინარმა ხელმა ამ შესანიშნავ გრანიტის ტროტუარს მოაშორა და ბროლის მეშვიდე ცის კამარამდე აზიდა? აბა, სცადეთ და შეაჩერეთ, ჰკითხეთ სად იმყოფება ამ წუთას, რა ქუჩა გაიარა? ის ალბათ ვერც იმას გაიხსენებს, სად დგას ახლა და ვერც იმას, რა გზა გამოიარა - სიბრაზისგან გაწითლდება, ზრდილობის გულისთვის აუცილებლად რაღაცას მოიტყუებს. აი, რატომ შეკრთა და კინაღამ იყვირა შიშისგან, როდესაც ერთმა ღრმადპატივცემულმა მოხუცებულმა მოწიწებით შეაჩერა და ჰკითხა - გზა ამებნა, ხომ არ დამაკვალიანებთ - ახლა სად ვარო. ნაწყენია, შუბლი ეჭმუნება, წინსვლას განაგრძობს და ვერც კი ამჩნევს, რომ

გამგლელები იცინიან, როდესაც უყურებენ, რომ პატარა გოგონამ შიშით დაუთმო გზა და ხმამაღლა გადაიხარხარა, დაინახა თუ არა მისი უცნაური ღიმილი, უცნაური ქესტიკულაცია. მაგრამ ფანტაზიამ არც ახლა უმტყუნა - სადღაც გაფანტა ცნობისმოყვარე გამგლელებიც, მოხარხარე გოგონაც, მამაკაცებიც, რომლებიც ბარჟებით მოფენილ ფონტანკაზე აღამებენ (დაუშვათ, ამ დროს ჩვენი გმირიც იქ იმყოფებოდა) - უეცრად ყველაფერს კომიკურად მოხვია თავისი ჯადოსნური ბადე, აი, ისე, როგორც ობობა აბამს ქსელში ბუზებს და ჩვენი უცნაური მეოცნებეც, ახალი შთაბეჭდილებებით დატვირთული, შევიდა საყვარელ ბუნაგში, სადილიც მიირთვა... მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც მუდამ ჩაფიქრებულმა, სევდიანმა მატრენამ (ქალი, რომელიც ემსახურება) მაგიდა გადაწმინდა და ჩიბუხი მიაწოდა. გამოფხიზლდა, გაკვირვებულმა გაიხსენა, რომ უკვე უსადილია კიდევ... არ ახსოვდა, როდის და როგორ მოხდა ეს. ოთახში დაბნეულა. უცებ სულიერი სიცარიელე იგრძნო, სევდა შემოაწვა. ოცნების სამყარო ინგრეოდა, ყოველგვარი ხმაურისა და ნელ-ნელა რღვევის გარეშე, კვალსაც არ ტოვებდა, სიზმარივით ქრებოდა... მას კი საერთოდ არ ახსოვდა, რაზე ოცნებობდა სულ ცოტა ხნის წინ. მაგრამ რაღაც უცნაურმა შეგრძნებამ, თითქოსდა ოდნავ მტკივნეულმა, ამაღლეგებელმა შეუტია გულს, ააფორიაქა ფანტაზია და შეუმჩნეველად გამოიძახა ახალ ზმანებათა გუნდი. პატარა ოთახში სიჩუმე გამეფდა. განმარტობამ და სიზარმაცემ მოაღუნა, გაანებივრა წარმოსახვა.

ის მხოლოდ ოდნავ ჩუხჩუხებდა, როგორც წყალი მოხუცი მატრენას (რომელიც უდრტვინველად ფუსფუსებდა სამზარეულოში) ყავის მადულარაში. მაგრამ, აი... აფეთქებას იწყებს... ამ დროს ჩვენი მეოცნებე სრულიად უმიზნოდ იმ წიგნს იღებს ხელში, რომელიც ყველაზე ახლოს დევს - შემდეგ წიგნი ხელიდან უვარდება ისე, რომ სამი გვერდის წაკითხვასაც ვერ ასწრებს. ტვინი კვლავ აღიგზნო. წარმოსახვამ ბრწყინვალე ცხოვრების ბრწყინვალე პერსპექტივა დახატა. ახალი სიზმარი - ახალი ბედნიერება! ის უკვე ხარბად სვამს უტკბილეს საწამლავს! რა დარჩენია ამ რეალურ ცხოვრებაში! ნასტენკა, მისი აზრით, მე და თქვენ ისე დუნედ, ისე უაზროდ, ისე გაზულუქებულად ვცხოვრობთ! მიაჩნია, რომ ყველანი უკმაყოფილო ვართ საკუთარი ბედით, ცხოვრებას მძიმე ტვირთივით ვეზიდებით! ასეც არის, შეხედეთ, ერთმანეთს უზარმაზარი ყინული გვაშორებს, მწუხარება და თითქოს ბრაზიანი სიბნელე გამეფებულა... "საწყლები!" - ფიქრობს ჩემი მეოცნებე. არც არის გასაკვირი, რომ ასე ფიქრობს! შეხედეთ ამ საოცარ აჩრდილებს, რა

მომხიბვლელია ისინი! რა ადვილად უფენენ ფერხით უკიდევანო, ჯადოსნურ სივრცეებს, ხატავენ ამადლებული სულიერებით გაჯერებულ სურათებს. ამ სურათების მთავარი გმირი, რასაკვირველია, ჩვენი მეოცნების ბრწყინვალე პერსონა გახლავთ. შეხედეთ, რამდენი თავგადასავალი გადახდა, როგორ ამოხეთქა აღტაცებულ ზმანებათა შადრევანმა. ალბათ გაინტერესებთ, რაზე ოცნებობს? საკითხავიც არ არის! ყველაფერზე... მოსწონს პოეტის როლი, რომელიც თავდაპირველად არ აღიარეს, მერე კი დიდებით შეამკეს. არც ჰოფმანთან მეგობრობაზე იტყოდა უარს, ბართლომეს ღამეს დაესწრებოდა, ხელზე ეამბორებოდა დიანა ვერნონს, ივან ვასილის ძესთან ერთად აიღებდა ყაზანს... კლარა მოვბრაი, ევფია დენსი, პრელატებისა და ჰუსების ტადარი - ყველა და ყველაფერი მისია! - რობერტი, მიცვალებულთა ამბოხი (გახსოვთ მუსიკა? იფრქვევა სასაფლაოს სურნელი!), მინა და ბრენდა, ბერეზინის ბრძოლა, პოემების დეკლარირება გრაფის მეუღლის სალონში, კლეოპატრა და e i suoi amanti (მისი საყვარლები, იტალ.), პატარა სახლი კოლომნაში, საკუთარი კუთხე... ზამთრის ცივ საღამოს მშვენიერი ქალწული ჩამომჯდარა მის გვერდით და ფართოდ გახელილი თვალებით უსმენს, აი, როგორც თქვენ მისმენთ ახლა, ჩემო ანგელოზო, ჩემო ნასტენკა...

არა, ნასტენკა, რაში სჭირდება ამ ნეტარ, უზარმაცეს ადამიანს ისეთი ცხოვრება, რომლისკენაც მე და თქვენ ვისწრაფით? ის ფიქრობს - რეალობა უფერული და ერთფეროვანია, ვერ წარმოუდგენია, რომ დადგება დრო, როდესაც მზად იქნება, ამ უფერული, ერთფეროვანი ცხოვრების თუნდაც ერთი დღის დასაბრუნებლად გაიღოს მთელი თავისი ფანტასტიკური წლები... ეს წლები არ დაენანება, არათუ სიხარულისა და ბედნიერების რეალურად განცდისთვის, არამედ თუნდაც წამიერი მწუხარების, სინანულისა და დიდი უბედურების განსაცდელადაც კი. მაგრამ ეს სასტიკი დრო ჯერ არ დამდგარა, მეოცნებე ჯერ არაფერს ნანობს. ის ახლა ყველა სურვილზე მაღლა დგას - კმაყოფილია, რადგან თავად არის საკუთარი ცხოვრების შემოქმედი და ამ ცხოვრების ყოველ საათს თვითონვე განაგებს, განაგებს ისე, როგორც მას სურს. საოცრად ადვილად და ბუნებრივად იქმნება ზღაპრული, ფანტასტიკური სამყარო! თითქოს ბუნდოვანი აჩრდილი კი არა, მართლაც შიშველი რეალობაა! სწამს, რომ მისი ცხოვრება არ შეუქმნია გრძნობათა აღრევას! არ არის მირაჟი, არა, არ არის მოღალატე წარმოსახვა! ის ნამდვილია, რეალურად არსებული! მაგრამ, ნასტენკა მითხარით, ოცნების დროს

რატომ ეხუთება სული? რატომ ვეღარ ეტევა გული საგულეში, რატომ უსველდება ცრემლებით სახე? აღმური თითქოსდა წვავს ფერმკრთალ ლოყებს და რაღაც საოცარი ნეტარების ზღვა იღვრება სულში? რატომ მიქრიან ასე სწრაფად ამოუწურავი სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე უძილო ღამეები? და როდესაც ვარდისფრად ფეთქდება განთიადი, მზე საექვოდ ფანტასტიკური სხივებით ანათებს ოთახის პირქუშ კედლებს (როგორც ჩვენთან პეტერბურგში), ჩვენი დაღლილი, ნატანჯი მეოცნებე ლოგინს ეხეთქება... იძინებს. გული კი თითქოს ჩამკვდარია ავადმყოფურად შეძრწუნებული სულის მარწუხებში, იმავდროულად, აღფრთოვანებულია და სუსტი, სასიამოვნო ტკივილი აფორიაქებს. რატომ ხდება, ასე?

ჰო, ნასტენკა, მოტყუვდები, უნებლიეთ დაიჯერებ, რომ ვნება მართლა არსებობს, მართლა აღელვებს მის სულს... რომ არის რაღაც ცოცხალი, ხელშესახები ამ უხორცო ზმანებებში! და როგორია ეს ტყუილი! აი, მაგალითად - სიყვარულმა აიტაცა, გრძნობს დიდ სიხარულს, დამთრგუნველ დარდს... კარგად შეხედეთ და დარწმუნდებით! ნუთუ გჯერათ, რომ მას მართლაც არასდროს უნახავს ის, ვინც ასე უყვარს თავის გაშმაგებულ ოცნებებში? ნუთუ არასდროს უსეირნიათ ხელიხელჩაკიდებულთ და ეს მხოლოდ მშვენიერი სიზმარი იყო? ნუთუ წლების განმავლობაში ერთად არ უცხოვრიათ, სამყაროსგან განმარტოებულთ? ნუთუ მაშინ, როდესაც განშორების უამრავი დადგა, არ ეხუტებოდა, არ ტიროდა მის მკერდზე და ამ ტირილის დროს არ ესმოდა ქარბუქის მრისხანე ღრიალი, რომელიც ცრემლებს მისი შავი წამწამებიდან სადღაც შორს მიაქროლებდა? ნუთუ ეს მხოლოდ ოცნება იყო?

და ბალი?... მოწყენილი, მიტოვებული, მოხავსული ბილიკებით, მარტოხელა, პირქუში... რამდენჯერ უსეირნიათ ამ ბაღში, ერთად აუგიათ იმედის კოშკები, ერთად დაუმარცხებიათ სევდა... ო, როგორ უყვარდათ ერთმანეთი - "რა დიდხანს, რა ფაქიზად!" ...უცნაური მამაკაცისეული სახლი, რომელშიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა მოწყენილი და განმარტოებული, მუდამ გაბრაზებულ, მუდამ მღუმარე, მუდამ ღვარძლიან ქმართან ერთად. ის არ იყო ძლიერი ქალი, ეშინოდა ქმრის და ბავშვივით მაღავდა თავის სიყვარულს... როგორ იტანჯებოდნენ, როგორ რცხვენოდათ, ერთმანეთისაც რცხვენოდათ. სიყვარული მათი მართლაც წმინდა და უმანკო იყო, ნასტენკა, მაგრამ ადამიანები! ადამიანებს ბოროტება არ ასვენებდათ! ღმერთო ჩემო, მოგვიანებით ხომ სწორედ მას შეხვდა საკუთარი სამშობლოსგან

შორს, უცხო ცის ქვეშ! ეს მოხდა უმშვენიერეს მარადიულ ქალაქში. შუა დღის მწველი მზე დედამიწას შანთავდა, ბრწყინვალე მეჯლისის თავბრუდამხვევი ჰანგები ზღვაში იძირებოდა, ლაჟვარდოვან ტალღებზე რამკების თვალისმომჭრელი სინათლე ლიცლიცებდა... და პალაცოს (უთუოდ პალაცოს, ნასტენკა) აივანზე, რომლის კედლებსაც ვარდები ამშვენებდა, მან ის იცნო! უეცრად მოიხსნა ნიღაბი - თავისუფლება მეღირსაო - ჩასჩურჩულა, შემდეგ მთელი სხეულით აცახცახდა და მის გაშლილ მკლავებში გადაეშვა. ბედნიერებისგან თავბრუდახვეულები ერთმანეთს ეხუტებოდნენ და სულ გადაავიწყდათ ის მწუხარებაც, ის განშორებაც, ის მოხუცი ქმარიც, შორეულ სამშობლოში დატოვებული, მრისხანე ბაღი... გადაავიწყდათ პატარა სკამიც, რომელზეც ბოლო შეხვედრის დროს ჩამოსხდნენ, უკანასკნელი ვნებები, უკანასკნელი კოცნა... ამ კოცნის შემდეგ გაიქცა და დატოვა სასოწარკვეთილებისაგან გაქვავებული... მერწმუნეთ, ნასტენკა, საშინლად შეცბუნდებით, აი, იმ სკოლის მოწაფესავით გაწითლდებით, რომელმაც მეზობლის ბაღიდან ეს-ეს არის ვაშლი მოიპარა, თუკი ერთ მშვენიერ დღეს თქვენი სახლის კარს დაუპატიუებლად შემოადებს ზორბა, მხიარული, ახალგაზრდა კაცი და ვითომ არაფერი მომხდარა, ისე დაიყვირებს: "ამ წუთას ჩამოვედი პავლოვსკიდან, უნდა მიმიღოო." ღმერთო ჩემო! მოხუცი გრაფი მომკვდარა, ენით აღუწერელი ბედნიერების დრო დგება, პავლოვსკიდან ჩამოსულის ამბავს ჰგავს!

პათეტიკური შეძახილები პათეტიკურადვე დავასრულე. მახსოვს, რომ ძალიან მინდოდა, როგორმე მომეხერხებინა გადახარხარება, მაგრამ ვიგრძენი - როგორ ძლიერად შეირხა ჩემს სულში ჩაბუდებული საშინელი ეშმაკი. სუნთქვა შემიკრა, ვიხრჩობოდი, ცრემლები მომაწვა...

მეგონა ნასტენკა, რომელიც ფართოდ გახედილი თვალებით სულგანაბული მისმენდა, ბავშვივით გადაიკისკისებდა, სიხარულის სიცილს ვერ შეიკავებდა და უკვე ვნანობდი, რომ ყველაფერი ვუამბე, ანუ ის, რაც დიდი ხანია დუღდა ჩემს გულში... ვნანობდი, რომ ასე ხატოვნად წავუკითხე განაჩენი, რომელიც თავად გამოვუტანე საკუთარ თავს. დარწმუნებული ვიყავი - ვერასდროს ვერავინ გამიგებდა... მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ნასტენკას ხმა არ ამოუღია, ხელი ხელზე ოდნავ მომიჭირა და თითქოსდა გაუბედავად, თანაგრძნობით მკითხა:

- ნუთუ მართლა ასე გაატარეთ მთელი ცხოვრება?
- ჰო, ნასტენკა, მთელი ცხოვრება... და ვფიქრობ, ასევე დავასრულე!

- არა, არ შეიძლება, - მითხრა შეწუხებულმა, - ასე არ მოხდება... ანუ, შესაძლოა, მეც ბებიის გვერდით ამომხდეს სული... მომისმინეთ, იცით, რომ ძალიან ცუდია ასე ცხოვრება?

- ვიცი, ნასტენკა, ვიცი! - წამოვიძახე. უკვე აღარ ვმაღავდი გრძნობებს. - ახლა ნამდვილად ვიცი - სულელურად დაგეარგე საუკეთესო წლები! გული მტკივა, როდესაც ვაცნობიერებ, რომ ღმერთმა თქვენი სახით კეთილი ანგელოზი გამომიგზავნა, რათა ყველაფერი მეთქვა, ყველაფერი ამეხსნა, დამემტკიცებინა. ახლა, როდესაც თქვენ გელაპარაკებით, მომავალზე ფიქრიც კი მეშინია. მომავალში ხომ კვლავ, ობმოკიდებული მარტოობა მეღის, ისეთი ცხოვრება, რომელიც არავის სჭირდება! საოცნებოც არაფერი მრჩება, რადგან ახლა ბედნიერი ვარ, თქვენთან ყოფნა მამბედნიერებს და ეს ცხადში ხდება! ღმერთმა დაგლოცოთ, ნასტენკა, ჩემო მშვენიერო ნასტენკა, იმისთვის, რომ არ გამაგდეთ, რომ ასე გულდასმით მომისმინეთ. უკვე თამამად შემიძლია ვთქვა - ჩემი ცხოვრების თუნდაც ორი საღამო ცოცხალი ვიყავი!

- არა, არა, არა! - ნასტენკას თვალებში ცრემლები აბრჭყვიალდა, - ასე არ მოხდება! ასე არ დავშორდებით! ორი საღამო რა არის!

- ნასტენკა, ნასტენკა! მინდა იცოდეთ, რა დიდი ხნით შემარიგეთ საკუთარ თავთან! ახლა უკვე აღარასდროს ვიფიქრებ, რომ საშინელი პიროვნება ვარ. აღარასდროს ვიფიქრებ, რომ დანაშაული ჩავიდინე... ოცნებებით ცხოვრება დანაშაული მეგონა. ღვთის გულისთვის, არ იფიქროთ ნასტენკა, რაიმეს ვაჭარბებდე, ხანდახან ისეთი სევდა მთრგუნავს, ისეთი ძლიერი დარდი... ასეთ დროს მეგონია ხოლმე, რომ ვეღარასოდეს შევძლებ ადამიანური ცხოვრების დაწყებას, რადგან უკვე დაგეარგე რეალური სამყაროს აღქმის უნარი, საკუთარ თავს ვწყევლი, ვინაიდან ჩემი ფანტასტიკური დამეების შემდეგ გამოფხიზლების დრო დგება და ეს გამოფხიზლება ნამდვილი კოშმარია. ყურში ჩამესმის, როგორ გრიალებს მუსიკა, როგორ ტრიალებს ადამიანთა ცხოვრების ფერხული. ჰო, ვხედავ და მესმის, რომ ადამიანები ცხოვრობენ, ცოცხლები არიან! ეს სიცოცხლე არ არის გამოგონილი, ამიტომ არასდროს გაქრება სიზმარივით... პირიქით! მათი ცხოვრება მრავალფეროვანია, სავსე, მუდამ ახალგაზრდა, მუდამ ახალ-ახალი ფერებით ჭრელდება, მუდამ სასურველი, მუდამ ახალგაზრდული და არც ერთი დღე არ ჰგავს მეორეს... ფანტაზია კი უბრალოდ ბილწი, საშინლად მოსაწყენი და საშიშია. ის აჩრდილების, იდეების, იმ პირველივე ღრუბლების ტყვეა, რომლებიც უეცრად

ბინდავენ მზეს და ადამიანს (შეყვარებულს თავისი პეტერბურგის მზეში) გულში
წვეთ-წვეთად ასხამს შხამიან ნაღველს. ფანტაზია კი არა - მწუხარებაა მხოლოდ!
ჰო, შემდეგ გრძნობ, როგორ დაიღალა, როგორ გამოიფიტა ამდენი
დაძაბულობისგან ეს *ამოუწურავი* ფანტაზია. მუდმივად დაძაბული კი იმიტომ
გახლავთ, რომ ძველი იდეალები ახალმა უნდა ჩაანაცვლოს: ძველი იდეალები ხომ
იმსხვრევა! იმიტომ საჭირო ხდება მისი ნატყეხებისგან ახალი ზმანებების შექმნა!
სული კი რაღაც სხვას ითხოვს, სადღაც სხვაგან მიისწრაფის. მეოცნებე ამოდ
იქექება წარსული ფანტაზიების ნაცარში, ამოდ ეძებს ამ ნაცარში ნაპერწკალს,
რათა სული შეუბეროს, გაადვივოს, ცეცხლად აანთოს, იპოვოს რაღაც ახალი -
თავისი გაყინული გულის გასათბობად. მაგრამ ეს შეუძლებელია. ის, რაც ადრე
აღელვებდა, ის, რაც მშვენიერი ეგონა, რაც მის ძარღვებში სისხლს მძლავრად
აჩუხჩუხებდა, თვალებს ცრემლებით ავსებდა, თურმე ფუფუნებით შემოსილი
ტყუილი ყოფილა! იცით ნასტენკა, ერთხელ რა გადავწყვიტე? მინდოდა საკუთარი
შეგრძნებების წლისთავი აღმენიშნა, ანუ მეზეიმა ის, რაც ადრე მშვენიერება
მეგონა, ის რაც არასდროს ყოფილა! უხორცო, სულელი ოცნებების წლისთავი...
მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ვერაფრით ჩავანაცვლე... და... ოცნებებიც ხომ
იფანტება, ინავლება, ქრება ოდესმე! მიყვარს გახსენება იმ ადგილებისა, სადღაც
ოდესღაც ბედნიერი ვიყავი, უფრო სწორად, მეგონა, რომ ბედნიერი ვიყავი... ხშირად
დავხეტივალ ახრდილივით პეტერბურგის ქუჩებში უაზროდ, უმიზნოდ, საშინლად
დარდიანი და ვცდილობ, განუმეორებელი წარსულის მსგავსი აწმყო შევქმნა.
უამრავი მოგონება ერთად აწყდება გონებას! კარგად მახსოვს - ზუსტად ერთი
წლის წინ, ზუსტად ამ ტროტუარზე, ზუსტად ამ დროს, ამ საათზე ასევე
დავსეირნობდი, ასეთივე მოწყენილი! მახსენდება, რომ ჩემი ოცნებები არც მაშინ
იყო მხიარული, მაგრამ ვგრძნობ, რომ მაშინ უფრო მშვიდად ვცხოვრობდი, მაშინ
არ მთრგუნავდა ეს რაღაც ყოვლისმომცველი ბნელი ფიქრები, რომლებიც საშველს
არ მაძლევენ ახლა. არც სინდისის ქენჯნას ვგრძნობდი... ვეკითხები საკუთარ თავს:
სად არიან შენი ოცნებები? რატომ მიგატოვებს? შემდეგ თავს ვიქნევ და ვწურჩულე:
რა სწრაფად მიქრიან წლები! ისევ არ მახსენებს კითხვა: რატომ დაამახინჯე, სად
დაასამარე საუკეთესო წლები? ერთი დღე მაინც თუ გიცხოვრია ადამიანურად
ამქვეყნად? შეხედე, მალე აცივდება... გაივლის წლები და მათ გაჰყვება მარტოობის
სევდიანი ახრდილი, დრო ეკლიან, საშიშ სიბერეს მოიტანს, რომელსაც მხოლოდ
დარდი და ნაღველი მოჰყვება. ფანტასტიკური სამყარო გახუნდება და ჩაკდება,

ტოტიდან მოწვევტილი ყვითელი ფოთლებივით დაენარცხება დედამიწას...
ნასტენკა, რა საშინელებაა მარტოობა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც აღარაფერი
გინდა - აღარაფერი... იმიტომ, რომ ყველაფერი დაკარგე და ის ყველაფერიც
რეალურად არ არსებობდა - ნული იყო... მხოლოდ ოცნებები!

საკმარისია, აღარ შემძლია! - ჩაილაპარაკა ნასტენკამ და ცრემლები
მოიწმინდა. - დამთავრდა! დღეიდან ერთად ვიქნებით. რაც არ უნდა მოხდეს ჩემს
ცხოვრებაში, არასდროს დავშორდებით ერთმანეთს. მომისმინეთ. მე ერთი
ჩვეულებრივი გოგო ვარ, სწავლითაც ცოტა რამ თუ მისწავლია, თუმცა ბებიამ
მასწავლებელი ამიყვანა. მაგრამ მაინც კარგად მესმის თქვენი, რადგან ყველაფერი,
რაც ახლა მიაჩნებოდა, უკვე გადავიტანე მაშინ, როდესაც ბებიამ თავის კაბას
მიმაჯახტვა. რა თქმა უნდა, ასე ხატონად ვერ აღვწერდი... მე ხომ გაუნათლებელი
ვარ, - გაუბედავად დაამატა ნასტენკამ, რომელიც ჩემი პათეტიკური მეტყველებისა
და ზეადმატებული ბგერების მიმართ დიდი პატივისცემით განმსჭვალულიყო. -
მაგრამ მიხარია, რომ გული გადამიშალეთ. ახლა უკვე გიცნობთ, ძალიან კარგად
გიცნობთ. იცით, რა? მინდა ჩემი ისტორია გაიგებოთ, არაფერს, არაფერს
დაგიმაღავთ და... თქვენი რჩევა მჭირდება. ძალიან ჭკვიანი ხართ! მპირდებით, რომ
გულწრფელად მირჩევთ, როგორ მოვიქცე?

- ნასტენკა, - ვუპასუხე მე, - მართალია მრჩეველი არასდროს
ვეყოფილვარ, მაგრამ ვხედავ, რომ თუ მუდამ ასე ვიცხოვრებთ, შევძლებთ უამრავი
ჭკვიანური რჩევა მივცეთ ერთმანეთს! კარგი, ჩემო ნასტენკა, ჩემო მშვენიერო, რა
რჩევა გჭირდებათ? ყველაფერი მიაჩნებოდა... ახლა ისეთი მხიარული, ბედნიერი, მამაცი
და ჭკვიანი ვარ, რომ რჩევის მოცემა ნამდვილად არ გამიჭირდება.

- არა, არა! - შეაწვევტინა ნასტენკამ და გაიცინა, - მე არა მხოლოდ
რჩევა მჭირდება, ანუ... ჰო, რჩევა, მაგრამ გულისხმიერი, აი, ვითომ ძმა ხართ ჩემი,
თითქოს საუკუნეა გიყვარვართ!

- თანახმა ვარ, ნასტენკა, თანახმა ვარ! - წამოვიდახე აღფრთოვანებულმა,
- იცით, ოცი წელიც რომ მყვარებოდით... რა მნიშვნელობა აქვს დროს! მე თქვენ
ისე მიყვარხართ!.. შეუძლებელია, უფრო ძლიერი სიყვარული აღარ არსებობს!

- ხელი გამომიწოდეთ! - მითხრა ნასტენკამ.

ხელი გაგუწოდე.

- ვიწყებ ჩემი ისტორიის თხრობას.

ნასტენკას ისტორია

- თითქმის ნახევარი უკვე იცით. იცით, რომ მოხუცი ბებია მყავს...

- თუ მეორე ნახევარიც ასე მოკლეა... - ვუთხარი სიცილით.

- გაჩუმდით და მომისმინეთ. უნდა შევთანხმდეთ, რომ თხრობას არ შემაწყვეტინებთ, თორემ ვერ შევძლებ, ენა დამებმება. ჰო, ახლა მისმინეთ: მოხუცი ბებია მყავს, ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც დედ-მამა დამეხოცა. ვფიქრობ, წარსულში ბებია მდიდარი იყო, რადგან ახლაც მუდამ იმ საუკეთესო დღეებს იხსენებს. მან მასწავლა ფრანგული ენა, შემდეგ მასწავლებელიც ამიყვანა. როდესაც თხუთმეტი წლის ვიყავი (ახლა ჩვიდმეტის ვარ) სწავლა-განათლება დავასრულეთ. სწორედ ამ დროს ცუდად მოვიქეცი. რა ჩავიდინე, არ გეტყვით. მხოლოდ... დანაშაული არ იყო მაინცდამაინც მძიმე. ოღონდ... ერთ მშვენიერ დღეს ბებია დამიძახა, მითხრა, რომ უკვე სრულიად დაბრმავებულიყო, ახალგაზრდა გოგოს ქმედებების გაკონტროლება აღარ შეეძლო... ქინძისთავი აიღო და ჩემი კაბა საკუთარ კაბას გამოაბა. შემდეგ კატეგორიულად მიბრძანა, რომ აი, ასე ერთად ვისხდებოდით მთელი ცხოვრების განმავლობაში, თუკი მე არ გამოვსწორდებოდი. ერთი სიტყვით, პირველ ხანებში განძრევასაც ვერ ვახერხებდი. ბებიის კაბას მიჯაჭვული ვმუშაობდი, ვკითხულობდი, ვსწავლობდი. ერთხელ ვიეშმაკე და ფეკლა (ჩვენი ყრუ მოსამსახურე) დავითანხმე, ჩემს ადგილას დამჯდარიყო. ფეკლაც დაჯდა. ბებიას ამ დროს ეძინა. მე ნაცნობ გოგონასთან წავედი სტუმრად. ეს გასეირნება ძალიან ცუდად დამიმთავრდა. ბებიას გაღვიძებია და რაღაც კითხვა დაუსვამს. მას ხომ ეგონა, რომ სავარძელში მე ვიჯექი! ფეკლა ხედავდა, როგორ ლაპარაკობდა ბებია... ვინაიდან თვითონ არაფრის თქმა არ შეეძლო, ბევრი იფიქრა, იფიქრა... ქინძისთავი გახსნა და თავქუდმოგლეჯილი გავარდა გარეთ!

ნასტენკა შეჩერდა, სიცილმა ლაპარაკი შეაწყვეტინა. მეც გამეცინა. ნასტენკამ მაშინვე შეწყვიტა სიცილი.

- მომისმინეთ: ნუ დასცინით ჩემს ბებიას. მე მხოლოდ იმიტომ ვიცინი, რომ ეს მართლაც სასაცილოა... ჰო, ბებია მართლა ასეთია, მაგრამ მაინც მიყვარს, ოღნავ მიყვარს. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ კვლავ დამსვა ერთ ადგილას და უკვე განძრევაც ამიკრძალა. ჰო, დამაგიწყდა მეთქვა - ჩვენ, უფრო სწორად ბებიას, საკუთარი სახლი აქვს. სახლი პატარაა, ხის, მხოლოდ სამი ფანჯრით, ზუსტად

ბებიასავით ბებერი... სამაგიეროდ ზემოდან მანსარდაა დაშენებული. ჰოდა, ამ მანსარდაში საცხოვრებლად გადმოვიდა ახალი მდგმური...

- ეს მდგმური ალბათ მოხუცი იყო, არა? - ვითომდა სხვათაშორის ვიკითხე მე.

- რა თქმა უნდა, - მიპასუხა ნასტენკამ, - და თქვენზე უკეთ შეეძლო მღუმარედ ესმინა ადამიანისთვის. თუმცა, სხვა გზა არც ჰქონდა, ძლივს ატრიალებდა ენას პირში. ის გერმანელი გახლდათ - ბებერი, ხმელი, ყრუ, ბრმა და კოჭლი. სიცოცხლე არ უნდოდა და კიდევ გარდაიცვალა. ამიტომ ახალი მდგმურის მოძებნა გახდა საჭირო, რადგან მდგმურის გარეშე ჩვენი არსებობა წარმოუდგენელი იყო, მხოლოდ ბებიას პენსიით ვერ შევძლებდით თავის გამოკვებას. ახალი მდგმური (თითქოსდა განგებ) უცხოელი, ახალგაზრდა მამაკაცი აღმოჩნდა. არც კი შევაჭრებია ბებიას და ბებიამაც სიხარულით შეუშვა ოთახში. ის უკვე დაბინავებული იყო, როდესაც ბებიამ მკითხა: "ნასტენკა, ჩვენი მდგმური ახალგაზრდაა?" ტყუილის თქმა არ მინდოდა და ვუპასუხე: "ძალიან ახალგაზრდა არ არის, მაგრამ არც მოხუცია." "ლამაზია?" - კვლავ მკითხა ბებიამ. გადავწყვიტე არც ახლა მეცრუა: "სასიამოვნო გარეგნობა აქვს-თქო" - ვუპასუხე. ბებიამ ვიშივი დაიწყო: "აი, სასჯელი! სასჯელი! შენ გამო ვნერვიულობ! თვალი არ გაგექცეს. საშინელი დროა! მაინცდამაინც კარგი შესახედაობის აღმოჩნდა. ძველი დრო მაინც იყოს!"

ბებიასთვის ყველაფერი საუკეთესო ძველ დროში ჩარჩენილიყო! ის ძველ დროში ახალგაზრდაც იყო, მზის სხივებიც უფრო მცხუნვარედ ათბობდა დედამიწას და ნაღებიც არ მჟავდებოდა ასე მაღე! უნებლიეთ გავიფიქრე: ნეტავ, რატომ მახსენებს ბებიანიჩემი, რისთვის მეკითხება, არის თუ არა ახალგაზრდა და ლამაზი ჩვენი მდგმური? გავიფიქრე და თვლების ამოყვანა გავაგრძელე. მაღე საერთოდ გადამავიწყდა მდგმური.

ერთხელ, დილით ადრე, ის თვითონ გვეახლა. აინტერესებდა, როდის გააკრავდნენ მისი ოთახის კედლებზე დაპირებულ შპალერს. ბებიანიჩემი ხომ ვერასდროს აჩერებდა ენას! ახლაც გამომძახა: "ნასტენკა, შედი საძინებელში, საანგარიშო გამომიტანე." მაშინვე წამოვხტი, არ ვიცი რატომ, მაგრამ უეცრად გავწითლდი... სრულიად გადამავიწყდა, რომ ბებიის კაბას ვიყავი მიჯაჭვული. მინდოდა ისე გამეხსნა ქინძისთავი, მდგმურს არაფერი დაენახა, მაგრამ... ავდექი თუ არა, ბებიის სავარძელიც დაიძრა. როგორც კი გავაცნობიერე, რომ მდგმურმა

დაინახა, რა მდგომარეობაში ვცხოვრობდი, სახეზე აღმური მომედო, ადგილზე გაგშეშდი და ტირილი დავიწყე. ისე შემრცხვა, ისე დავითრგუნე! დღის სინათლის დანახვა არ მინდოდა! "რას გაშეშებულხარ?" - გაჰკიოდა ბებია. მე კი უკვე მაგიუებდა სირცხვილი... მდგმური მიხვდა, რომ სწორედ მისი მრცხვენოდა, თავი დამიკრა და მაშინვე გავიდა ჩვენი ოთახიდან!

მას აქეთ წინკარში გაფახუნების ხმაზეც კი მკვდარივით ვშეშდებოდი და ყოველი შემთხვევისთვის ჩუმად ვიხსნიდი ქინძისთავს. მაგრამ ამაოდ. მდგმური აღარ გამოჩენილა. ორი კვირის შემდეგ ფეკლა გამოგზავნა იმის სათქმელად, რომ უამრავი, შესანიშნავი ფრანგული წიგნი აქვს და თუ ბებიას სურს, მე მას ეს წიგნები წავუკითხო, შეუძლია გვათხოვოს. ბებია სიხარულით დათანხმდა. მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა - ხომ არ ეწერა ამ წიგნებში რაიმე ამორალური? "თუ ასეა, ნასტენკა შენთვის მათი წაკითხვა არ შეიძლება, ცუდად იმოქმედებს." - ვიშივიშებდა თავისებურად.

- რა იმოქმედებს ცუდად? ასეთი რა უნდა ეწეროს? - ვკითხე ბებიას.

- რას ამბობ! ზოგიერთ წიგნში აღწერილია, როგორ შეაცდინეს მამაკაცებმა უმანკო გოგონები, ვითომდა მათი ცოლად მოყვანა სურდათ! სინამდვილეში, სახლიდან მიჰყავდათ და ამ უბედურ გოგონებს ბედის ანაბარა ტოვებდნენ ქუჩაში. ჰო, შეცდენილი გოგონები კი იღუპებოდნენ! ბევრი ასეთი წიგნი მაქვს წაკითხული. ყველაფერი ისე კარგადაა აღწერილი, რომ შესაძლოა, მთელი დამე კითხვაში გაათენო. ჰოდა, შენ არ წაიკითხო, ნასტენკა. რა წიგნები გამოგზავნა?

- ვალტერ სკოტის რომანები, ბებია.

- ვალტერ სკოტის რომანები! ხომ არ მოსწონხარ? აბა ერთი კარგად ნახე სასიყვარულო ბარათი არ გამოაყოლა მაგ წიგნებს?

- არა ბებია, აქ ბარათი არ დევს.

- კარგად ნახე, ყდაზე გადასაკრავის ქვეშ. ეგ ავაზაკები სწორედ მანდ მაღავენ წერილებს!..

- არა ბებია, არც აქ არ არის.

- ჰო, კარგი!

და დავიწყეთ ვალტერ სკოტის კითხვა. დაახლოებით ერთ თვეში თითქმის ნახევარი წავიკითხეთ. შემდეგ მდგმურმა კვლავ გამოგვიგზავნა წიგნები. ამჯამად პუშკინის ნაწარმოებები. ის გაუთავებლად გვაწვდიდა ლიტერატურულ შედეგებს.

ბოლოს და ბოლოს, ისე შევეჩვიე კითხვას, რომ წიგნების გარეშე სიცოცხლე აღარ შემეძლო. ჩინეთის პრინცის ცოლობაზეც კი შევწვივებოდი ოცნება.

ერთხელ ისე მოხდა, რომ კიბესთან შეხვედი ჩვენს მდგმურს. რაღაცის მოსატანად გამგზავნა ბებიამ. მდგმური შეჩერდა, მე გაავწითლდი, ისიც გაწითლდა, გაიცინა, მომესალმა, ბებიის ჯანმრთელობა მოიკითხა და მკითხა:

- წაიკითხეთ წიგნები?
- წავიკითხე, - ვუპასუხე მე.
- ყველაზე მეტად რომელი მოგეწონათ?
- "აივენგო" და პუშკინის ნაწარმოებები.

სხვა არაფერი უთქვამს.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ კიბესთან შემხვდა. ამჯერად ბებიას არ გავეუზახავი, თვითონ მჭირდებოდა წინკარში გასვლა. სამი საათი იყო, ამ დროს მდგმური შინ ბრუნდებოდა ხოლმე. დამინახა თუ არა მომესალმა.

- გამარჯობა!
- გამარჯობა! - ვუპასუხე მე.
- დავიჯერო, არ გწყინდებათ მთელი დღეების განმავლობაში ბებიასთან ჯდომა? - მკითხა მან. თვითონაც არ ვიცი რატომ, მაგრამ საშინლად შემრცხვა, გაავწითლდი, თითქოს მეწყინა კიდევ, რომ უკვე სხვებმაც შენიშნეს და უკვირდით, რატომ ვცხოვრობდი ასე. პასუხის გაცემა არ მინდოდა, თუმცა წასვლაც არ შემეძლო, უეცრად გამომეცალა ძალა.

- მისმინეთ, ამბობენ, კეთილი გოგო ხართ! მაპატიეთ, ასე რომ გელაპარაკებით, მაგრამ გარწმუნებთ თქვენი კარგად ყოფნა ბებიათქვენზე მეტად მე მსურს. ნუთუ არ გყავთ მეგობრები, რომლებთანაც სტუმრად წასვლას ისურვებდით?

- არა. მაშენკა მყავდა, მაგრამ ფსკოვში გადავიდა საცხოვრებლად.
- იქნებ თეატრში წამოსვიდეთ ჩემთან ერთად?
- თეატრში? მერე ბებია?
- ბებიას გაეპარებით...
- არა, ბებიის მოტყუება არ მინდა. მშვიდობით!
- კარგი, მშვიდობით.

სხვა აღარაფერი უთქვამს. მხოლოდ სადილის შემდეგ მოვიდა ჩვენთან. დიდხანს ესაუბრა ბებიას, ეკითხებოდა - ჰყავდა თუ არა ნაცნობები, დადიოდა თუ არა ვინმესთან სტუმრად... და უცებ უთხრა:

- დღეს ოპერაში ლოჟა დაეჯავშნე, "სეველიელი დალაქის" პრემიერაა, ნაცნობებთან ერთად ვაპირებდი წასვლას, მაგრამ მათ უარი თქვეს და ბილეთები მიუქმდება.

- "სეველიელი დალაქი!" - წამოიყვირა ბებია, - ჰო, ეს ის "დალაქია" ძველ დროშიც რომ დგამდნენ, არა?

- დიას, სწორედ ის "დალაქია," - უთხრა ბებიას და მე შემომხედა. გავწითლდი, მოლოდინმა და სიხარულმა საოცრად ამიჩქარა გული!

- ვიცი, ვიცი, თუმცა ვინ არ იცის. ახალგაზრდობაში სახლის თეატრში მე თვითონ ვთამაშობდი როზინას!

- ჰოდა, არ გინდათ დღეს წამოსვლა? - ჰკითხა მდგმურმა, - ბილეთი მაინც მიუქმდება.

- წავიდეთ, რატომაც არა? ჩემი ნასტენკა არასდროს ყოფილა თეატრში.

ღმერთო, როგორ გამეხარდა! მაშინვე გამოვეწვეეთ და წავედით. მიუხედავად იმისა, რომ ბებია ბრმაა, მაინც ძალიან უნდოდა მუსიკის მოსმენა, გარდა ამისა, ის ზოგადად კეთილი ადამიანი გახლავთ - უფრო მეტად ჩემს გახალისებაზე ფიქრობდა, ჩვენ თვითონ ხომ ვერასდროს შევძლებდით თეატრში წასვლას. რა შთაბეჭდილება მოახდინა "სეველიელმა დალაქმა," ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ჩვენი მდგმური მთელი საღამოს განმავლობაში ისეთი თვალებით მიყურებდა, ისე მელაპარაკებოდა, რომ მივხვდი, რაღაც აინტერესებდა, ალბათ უნდოდა, რომ დილით მასთან ერთად გასეირნება შემოეთავაზებინა. როგორ მიხაროდა! ისეთი ამაყი ვიყავი, ისეთი მხიარული, ისე მიცემდა გული, რომ სიცხემაც კი ამიწია, მთელი დამე "სეველიელი დალაქი" მესიზმრებოდა.

მეგონა, ამის შემდეგ უფრო ხშირად ივლიდა ჩვენთან, მაგრამ არა! უფრო მეტიც, თითქმის შეწყვიტა ვიზიტები. თვეში ერთხელ თუ შემოვიდოდა, ისიც თეატრში დასაპატიუებლად და ორჯერ წავგიყვანა ოპერაში. ძალიან უკმაყოფილო ვიყავი. ვხედავდი, რომ მას მხოლოდ ვეცოდებოდი იმის გამო, რომ ბებია ასე მექცეოდა. ვეცოდებოდი და სხვა არაფერი! დრო გადიოდა, განცდები მძაფრდებოდა: აღარც ჯდომა შემქდლო მშვიდად, წიგნებსაც ვეღარ ვკითხულობდი, ვერ ვმუშაობდი, ხან ვიცინოდი (ბებიას ჯინაზე), ხან კი უმიზეზოდ ვტიროდი. წონაში

ისე დავიკვლი, რომ ავადმყოფს დავემსგავსე. საოპერო სეზონი დამთავრდა, მდგმურმა საერთოდ შეწყვიტა ჩვენთან სიარული. როდესაც ერთმანეთს ვხვდებოდით, რასაკვირველია, კვლავ შემთხვევით და კვლავ კიბეებთან, მხოლოდ მღუმარედ მიკრავდა თავს, თან ისე სერიოზულად, თითქოს ლაპარაკიც არ უნდოდა ჩემთან... ის მიდიოდა, მე კი ალუბალივით წითელი (მის დანახვაზე სისხლი თითქოს ტვინშიც კი მიდუნდა, არათუ სახეზე) დიდხანს ვიდექი ხოლმე კიბესთან.

ახლა დასასრული. ზუსტად ერთი წლის წინ, მაისში, მდგმური შემოვიდა და ბებიას აცნობა, რომ აქ უკვე დაასრულა საქმეები და ახლა ერთი წლით მოსკოვში მიემგზავრებოდა. ეს რომ გავიგონე, გაფითრდი, მკვდარივით დაგვარდი სკამზე. ბებია მკერაფერი შემამჩნია. მან კი... თავი დამიკრა და წავიდა.

ნამდვილად არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ვფიქრობდი, ვდარდობდი... და ბოლოს გადავწყვიტე. ხვალ უნდა წავიდეს... დაიძინებს თუ არა ბებია მასთან მივალ! ასეც მოხდა. ყველა კაბა ერთმანეთს გადავაბი, თეთრეულიც გამოვკვანძე და პატარა ტომრით ხელში ცოცხალ-მკვდარი მივადექი მანსარდას. ასე მეგონა, ერთი საათი მივდიოდი. როდესაც ოთახის კარი გავაღე და დამინახა, ხმამაღლა შეჰყვირა. ეგონა, მოჩვენება გამოეცხადა, წყლის მოსატანად გაიქცა. მე კი ძლივს ვიდექი ფეხზე. გული ამიჩქარდა, თავი ტყვიასავით დამიმძიმდა, ვერ ვაზროვნებდი. გონს რომ მოვედი. ჩემი ტომარა სასწრაფოდ დავაგდე მის საწოლზე, შემდეგ დავჯექი, სახეზე ხელები ავიფარე და ტირილი დავიწყე. ის ყველაფერს მიხვდა, გაფითრებული იდგა ჩემ წინ და ისეთი სევდიანი თვალებით მიყურებდა, რომ ვგრძნობდი, როგორ მეგლიჯებოდა გული.

- მომისმინეთ, - წამოიწყო მან, - მომისმინეთ ნასტენკა, მე არაფერი შემიძლია, ღარიბი ვარ, სამსახურიც კი არ მაქვს ნორმალური, ცოლად რომ მოგიყვანოთ, როგორ შევძლებთ არსებობას?

დიდხანს ვისაუბრეთ, ბოლოს სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. ვუთხარი, რომ აღარ შემეძლო ბებიასთან ცხოვრება, რომ უთუოდ უნდა გაექცეოდი მას, არ მინდოდა, ბებიის კაბაზე გამობმულს გამეტარებინა ახალგაზრდობა. შევეხვეწე, წავეყვანე მოსკოვში, რადგან მის გარეშე ვერ წარმომედგინა არსებობა. სიყვარული, სირცხვილი, სევდა - თითქოს მე კი არა, ეს გრძნობები ლაპარაკობდნენ! ისე მეშინოდა უარის!

რამდენიმე წუთის განმავლობაში ხმა არ ამოუდია, შემდეგ მომიახლოვდა და ხელი ხელზე მომიკიდა.

- მომისმინეთ, ჩემო კეთილო, ჩემო მშვენიერო ნასტენკა! - ლაპარაკობდა და ცრემლები ახრჩობდა, - კარგად მომისმინეთ, გეფიცებით, თუ ოდესმე დაქორწინების საშუალება მექნება, უთუოდ თქვენ მოგიყვანთ ცოლად, გარწმუნებთ, ჩემი გაბედნიერება მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, მხოლოდ თქვენ და სხვას არავის! მაგრამ ახლა ერთი წლით მოსკოვში უნდა წავიდე. იმედი მაქვს, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში მოვაგვარებ საქმეებს. შემდეგ დავბრუნდები და თუ თქვენ კვლავ გეყვარებით, გეფიცებით... გეფიცებით, ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნება! ახლა ეს შეუძლებელია, არ შემიძლია, იმის უფლებაც კი არ მაქვს, რაიმე დაგპირდეთ... დავუშვათ, ერთი წლის შემდეგ ვერ მოვახერხებ... იცოდეთ, ოდესმე... დადგება დრო და მაინც მოგიყვანთ ცოლად! რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ კვლავ გექნებათ ამის სურვილი, რადგან მე ახლა თქვენთვის პირობის ჩამორთმევის უფლებაც არ მაქვს.

ეს მითხრა და მეორე დღეს გაემგზავრა. გადავწყვიტეთ, ბებიისთვის არაფერი მეთქვა. ასე ისურვა მან. ჰო, თითქმის დასრულდა ჩემი ისტორია. ზუსტად ერთი წელი გავიდა. ის ჩამოვიდა. უკვე სამი დღეა აქ არის და, და...

- და რა? - წამოვიყვირე. მე ხომ მოუთმენლად ველოდი ნასტენკას ისტორიის დასასრულს.

- ჩემთან არ მოსულა! - ისე მიპასუხა ნასტენკამ, თითქოს ცდილობდა, ძალა მოეკრიბა, - მისგან არაფერი ისმის...

შემდეგ ხმა აღარ ამოუღია, თავი დახარა, უეცრად აიფარა ხელები სახეზე და ისე აქვითინდა, რომ აშკარად ვიგრძენი, როგორ გადამიქანდა გული. ასეთ დასასრულს არაფრით ველოდი.

- ნასტენკა! - წამოვიწყე გაუბედავად, შემპარავი ინტონაციით, - ნასტენკა! ღმერთო ჩემო, შეწყვიტეთ ტირილი! საიდან იცით? იქნებ ის არ...

- არა! აქ არის! აქ არის! ნამდვილად ვიცი. ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ შევთანხმდით, მისი წასვლის წინა საღამოს... როდესაც ერთმანეთს ყველაფერი ვუთხარით (ანუ, რაც გაიმბეჭე) სწორედ ამ სანაპიროზე გამოვედით სასეირნოდ. ათი საათი იყო. სკამზე ჩამოვსხედით. უკვე აღარ ვტიროდი, ვუსმენდი მის საუბარს და მსიამოვნებდა... მაშინ მითხრა, რომ როგორც კი ჩამოვიდოდა, იმ დღესვე მოვიდოდა ჩემთან და ყველაფერს ვეტყოდით ბებიას. ახლა ჩამოვიდა, მაგრამ არ ჩანს, არ მოდის! - თქვა და კვლავ ტირილი დაიწყო.

- ღმერთო ჩემო! ნუთუ გამოსავალი არ არსებობს? - სასოწარკვეთილი წამოვხტი სკამიდან. - იქნებ მე მივიდე მასთან?..

- განა ეს შესაძლებელია? - უეცრად ასწია თავი.

- არა, რასაკვირველია, არა! - მაშინვე უკან დავიხიე, - აი, რას გირჩევთ, - წერილი მისწერეთ!

- ამის გაკეთება არ შეიძლება! - მტკიცედ წარმოთქვა ნასტენკამ და თავი დახარა. ის უკვე აღარ მიყურებდა.

- როგორ? რატომ არ შეიძლება? - მენანებოდა ამ იდეის უგულვებლყოფა. - ისეთი წერილი უნდა დაიწეროს... წერილები ერთმანეთისგან განსხვავდება და... მართლა ასეა, ნასტენკა! დამიჯერეთ! ცუდს არაფერს გირჩევთ. ამის მოგვარება შეიძლება. პირველი ნაბიჯი ხომ თქვენ გადადგიით... რატომ არ შეიძლება ახლაც...

- არა, არ შეიძლება! გამოდის, რომ თავს ვახვევ...

- რას ამბობთ, ნასტენკა! - არც მიცდია დამემალა, როგორ მეცინებოდა, - არა, რას ამბობთ. თქვენ სრული უფლება გაქვთ, ის ხომ დაგპირდათ! და... ისედაც აშკარაა, რომ დელიკატური პიროვნება ბრძანდება, კარგად მოიქცა, - ვლასპარაკობდი და სულ უფრო და უფრო მიტაცებდა ახალი არგუმენტების ძიება. უბრალოდ აღფრთოვანებული ვიყავი საკუთარი ლოგიკით, - დაუკვირდით, როგორ მოიქცა: თვითონ მოგცათ პირობა, გითხრათ, რომ თქვენ გარდა არავის შეირთავდა ცოლად, თქვენ კი არ შეგზღუდათ, ანუ - ცოლად მოგიყვანთ, თუ ისევ გეყვარებითო - დაგიბარათ... ჰოდა, თამამად შეგიძლიათ, გადადგათ პირველი ნაბიჯი, ნამდვილად გაქვთ ამის უფლება. აი, მაგალითად, შესთავაზეთ, რომ ათავისუფლებთ ყოველგვარი ვალდებულებისგან...

- როგორ დაწერდით?

- რას?

- აი, ამ წერილს.

- ჰოლოო... ასე დავიწყებდი: "მოწყალეო ბატონო..."

- ეს "მოწყალეო" აუცილებელია?

- კი, აუცილებელია. რატომაც არა? ვფიქრობ...

- კარგი! შემდეგ?

- "მოწყალეო ბატონო! მაპატიეთ..." თუმცა არა, რა საჭიროა ბოდიშები! დაწერეთ უბრალოდ: "იმედია, მომიტყევებთ, რომ მოთმენა აღარ შემიძლია. მთელი წლის განმავლობაში თქვენთან შეხვედრის იმედი მაბედნიერებდა. ახლა თითოეული დღე მტანჯველია ჩემთვის, რადგან ეჭვები არ მასვენებს. იქნებ შეცვალეთ გადაწყვეტილება? თუ ეს ასეა, იცოდეთ - არაფერში გადანაშაულებთ. ვერ იქნებით დამნაშავე იმაში, რომ აღარ გიყვარვართ. რა გაეწყობა, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი!

ვიცი, კეთილშობილი პიროვნება ბრძანდებით და არ დამცინებთ. გაიხსენეთ, რომ ამ წერილს საწყალი გოგონა წერს, რომელსაც არავინ ჰყავს ამქვეყნად. მას ვერავინ ვერაფერს ურჩევს, თვითონ კი არასდროს შეეძლო საკუთარი გრძნობების მოთოკვა. მაპატიეთ ეს წამიერი ეჭვიანობა. ვიცი, რომ არც კი გაიფიქრებთ აწყენინოთ იმას, ვისაც ასე თავდავიწყებით უყვარდით და უყვარხართ."

- ჰო, ჰო! მეც ზუსტად ასე ვფიქრობ! - სიხარულმა გაანათა ნასტენკას თვალები. - თქვენ შეძელით!.. გაფანტეთ ეს საზიზღარი ეჭვები! ნამდვილად ღმერთმა გამოგზავნათ ჩემთან! მადლობელი ვარ, უზომოდ მადლობელი!

- რისთვის? რისთვის გამოგზავნა ღმერთმა თქვენთან? - ვკითხებოდი და აღფრთოვანებით ვაკვირდებოდი მის ბედნიერებით გასხივოსნებულ სახეს.

- აი, თუნდაც ამიტომ.

- ნასტენკა! ზოგადად ადამიანები მადლიერნი ვართ სხვა ადამიანების... თუნდაც იმიტომ, რომ ისინი არსებობენ. მე თქვენ უნდა გადაგიხადოთ მადლობა! ამ ჩვენი შეხვედრის გამო... იმის გამო, რომ აღარასდროს, აღარასდროს დამავიწყდებით!

- კარგი, საკმარისია! ახლა კი მისმინეთ: ჩვენ მაშინ შევთანხმდით - როგორც კი ჩამოვიდოდა, მაშინვე მაცნობებდა... ანუ წერილი უნდა დაეტოვებინა ჩემს ნაცნობებთან - კეთილი, უბრალო ხალხია, მათ არაფერი იციან - ან: თუ წერილს ვერ მომწერდა, რადგან ყველაფრის დაწერა ძნელია, ჩამოსვლის პირველივე დღესვე, ზუსტად ათ საათზე, დათქმულ ადგილას უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. დანამდვილებით ვიცი, რომ უკვე სამი დღეა აქ არის, მაგრამ არც თავად ჩანს და არც წერილი დაუტოვებია. ბებიასგან გამოპარვა დილაობით შეუძლებელია. იქნებ თქვენ გადასცეთ ეს ბარათი აი, იმ ხალხს, ვისთანაც მას უნდა დაეტოვებინა წერილი. ისინი უთუოდ მიაწოდებენ. თუ რაიმეს მიპასუხებს, ეს პასუხიც მომიტანეთ ხვალ, საღამოს ათ საათზე.

- ჰო, მაგრამ წერილი! ჯერ წერილი უნდა დაიწეროს! ალბათ ყველაფრის გასარკვევად ორი დღე მაინც დაგვჭირდება.

- წერილი... - ნასტენკა დაიბნა, - წერილი...

ალარ დაასრულა. თავი დახარა და სახე დამიმალა, შემდეგ ვარდივით გაწითლდა... უცრად ვიგრძენი, რომ ჩემს ხელში ბარათი აღმოჩნდა... როგორც ჩანს, ეს წერილი დიდი ხნის წინ დაუწერია და დაუღუქავს კიდეც. რაღაც ძალიან ნაცნობმა, გრაციოზულმა და მშვენიერმა მოგონებამ გაიელვა!

- R,o -- Ro, s,i -- si, n,a -- na, - წამოვიწყე.

- Rosina! - სულ რამდენიმე წამში ერთად ვმდეროდით. აღფრთოვანებული თითქმის გულში ვიხუტებდი, ის კი წითლდებოდა, იცინოდა, ცრემლები მარგალიტებივით ბრწყინავდნენ შავ წამწამებზე.

- კარგი, საკმარისია! ნახვამდის! - სწრაფად ჩაილაპარაკა ნასტენკამ, - აი, წერილი და იმ ხალხის მისამართი. მშვიდობით! ნახვამდის! ხვალამდე!

ორივე ხელი ჩამომართვა, თავი დამიქნია და გასროლილი ისარივით გაქანდა თავისი სახლის გზაჯვარედინისკენ. დიდხანს ვიდექი, თვალებით ვაცილებდი... ნასტენკა უკვე აღარ ჩანდა... მე კი ჩუმად ვიმეორებდი: "ხვალამდე! ხვალამდე!"

ღამე მესამე

წვიმიანი, ნაღვლიანი, მოქუფრული დღე იყო... ალბათ, ასეთი იქნება ჩემი სიბერე. უცნაური აზრები ამეკვიატა, სიბნელით მოცულმა შეგრძნებებმა ერთიანად შეუტია ტვინს, უამრავი შეკითხვა ქაოსურად დატრიალდა - მე კი არც ძალა მქონდა და არც სურვილი დამეშოშმინებინა აფორიაქებული სული. არა, ეს უბრალოდ აღემატებოდა ჩემს შესაძლებლობებს!

დღეს ნასტენკას ვერ შევხვდები. გუშინ, სწორედ დამშვიდობების დროს, ცას ღრუბლები გადაეფარა და ნისლმა დაბინდა დედამიწა. მაშინვე ვთქვი, რომ ხვალ ცუდი დღე გველოდებოდა. მან არაფერი მიპასუხა. ტყუილის თქმა არ სურდა. მისთვის ხომ ეს დღე ნათელი და გასხივოსნებული გახლდათ. ვერც ერთი ღრუბელი ვერ მოახერხებდა მის ბედნიერებასთან შეხებას.

- თუ იწვიმებს, ერთმანეთს ვერ შეხვდებით. არ მოვალ. - მითხრა ნასტენკამ.

მეგონა, ვერც კი შენიშნავდა, რომ უსაშველოდ წვიმდა. შეეცდი, წვიმამ შეაშინა და არ მოვიდა.

გუშინ მესამეჯერ შევხვდით ერთმანეთს. გუშინ ჩვენი მესამე თეთრი ღამე მიიწურა...

გასაოცარია, როგორ აკეთილშობილებს ადამიანს სიხარული და ბედნიერება! როგორ აფრთიანებს სიყვარული გულს. თითქოს ზედმეტი სიხარულისგან გული დუღს... გინდა, რომ ეს ულვეი სიხარული სხვასაც გაუნაწილო, სხვის გულშიც ჩაღვარო... გინდა, რომ ყველა მხიარული იყოს, ყველა და ყველაფერი იცინოდეს. რა გადამდებია ბედნიერება! გუშინ მის სიტყვებში იმდენი სიკეთე იგრძნობოდა. ის ოცნებობდა, ასეთივე ნეტარებით გამთბარიყო ჩემი გულიც... როგორ მევლებოდა თავს, მამხნევებდა, მანებიერებდა - ჩემს გულს ანებიერებდა! რა საოცრად კეკლუცია ბედნიერება! მე კი... ეს ყველაფერი რეალობა მეგონა. ვფიქრობდი, რომ მას...

მაგრამ, ღმერთო ჩემო, რამ დამაბრმავა? რატომ წარმოვიდგინე, რომ ის, რაც დიდი ხანია სხვას ეკუთვნის, შესაძლოა, ჩემი გამხდარიყო. ეს მისი სინაზეც, მზრუნველობა და სიყვარული... ჰო, ჩემდამი სიყვარულიც კი მხოლოდ სხვასთან შეხვედრის ბედნიერების მოლოდინი გახლდათ... სხვა არაფერი, ან... იქნებ სურდა, საკუთარი ბედნიერება თავს მოეხვია ჩემთვის?

როდესაც დავრწმუნდით, რომ ნასტენკას საქმრო არ მოვიდა და ფუჭი აღმოჩნდა ჩვენი მოლოდინი, მოიდრუბლა, შეცბა, შეშინდა. მისმა მოძრაობებმა მაშინვე დაკარგეს სიმსუბუქე, სიტყვებიც აღარ იყო მხიარული და ვარსკვლავებით მოციმციმე... უცნაურია, მაგრამ სწორედ ამ დროს გაამძაფრა ჩემ მიმართ ყურადღება. ინსტინქტურად ცდილობდა, ეჩუქებინა ჩემთვის ის, რაც საკუთარი თავისთვის სურდა, ის - რისიც ეშინოდა, რომ არასდროს აუსრულდებოდა. ჩემი ნასტენკა იმდენად შეშინდა, იმდენად დაითრგუნა, უბრალოდ იძულებულიც კი გახდა, მიმხედარიყო, როგორ ძლიერ მიყვარდა და შეეცოდა ეს ჩემი საბრალო სიყვარული. ჰო, როდესაც თავად უბედურები ვართ, უფრო ძლიერად ვგრძნობთ სხვათა უბედურებას. ასეთ დროს გრძნობები კი არ ქრება, პირიქით ერთიანდება და მძაფრდება...

გახარებული ვიყავი, ერთი სული მქონდა, როდის შევხვდებოდი. მაშინ არ ვიცოდი, ვერ წარმომედგინა, ეს ყველაფერი როგორ დამთავრდებოდა. ნასტენკა ბედნიერებისგან ბრწყინავდა, პასუხს ელოდა. პასუხი კი თავად ის კაცი გახლდათ... ის უნდა მოსულიყო. ნასტენკა ჩემზე ერთი საათით ადრე გამოცხადდა. თავიდან იცინოდა, თითოეული სიტყვა ამხიარულებდა. მინდოდა, ლაპარაკი დამეწყო, მაგრამ გავჩუმდი.

- იცით, რატომ ვარ ასე ბედნიერი? რატომ მიხარია თქვენთან ყოფნა? რატომ მიყვარხართ დღეს ასე ძლიერ?

- რატომ? - ვკითხე და ვიგრძენი, როგორ გადამიქანდა გული.

- იმიტომ, რომ თქვენ მე არ შეგიყვარდით. თქვენ ადგილას ვიღაც სხვა შემაწუხებდა, საკუთარ გრძნობებს თავს მომახვევდა, დაიწყებდა ოხვრა-გოდებას, თქვენ კი... რა საყვარელი ხართ!

და მან ისე მძლავრად მომიჭირა ხელი, რომ კინაღამ ვიყვირე. ნასტენკამ გადაიხარხარა.

- ღმერთო! უეცრად მომეჩვენა... თითქოს რაღაც სხვანაირი ხართ! - მითხრა საკმაოდ სერიოზულად. - არა, ნამდვილად უფაღმა გამოგზავნათ... არც კი ვიცი, რა მეშველებოდა ამ წუთებში თქვენ რომ არ იყოთ ჩემთან! თან როგორ უანგაროდ მესმარებით! დასავით შეგიყვარდით! როდესაც გათხოვდები, უთუოდ ვიმეგობრებთ, ნამდვილ და-ძმაზე მეტად ერთგულნი ვიქნებით ერთმანეთისთვის. თითქმის ისე მეყვარებით, როგორც ის მიყვარს...

უეცრად საშინელმა სევდამ გამიკაწრა გული, იმავდროულად, სხეულში რაღაც სიცილის მსგავსი შეირხა.

- შეტევა გაქვთ, გეშინიათ, ფიქრობთ, რომ ის არ მოვა.

- არა! - მიპასუხა ნასტენკამ, - ახლა ისეთი ბედნიერი ვარ! თორემ ნამდვილად ვიტირებდი... თქვენი უნდობლობისა და საყვედურის გამო. თუმცა საფიქრალი გამიჩინეთ, მაგრამ მოგვიანებით ვიფიქრებ. ჰო, ვაღიარებ, მართალს ამბობთ! მართლაც ვერ ვცნობ საკუთარ თავს, სულ ველოდები. კარგი, საკმარისია, დავანებოთ თავი, გრძნობებზე ნულარ ვილაპარაკებთ!..

ამ დროს ნაბიჯების ხმა გავიგონეთ. სიბნელეში მამაკაცის სილუეტი გამოიკვეთა, ის ჩვენკენ მოდიოდა. ორივე კანკალმა აგვიტანა, ნასტენკამ კინაღამ წამოიყვირა. ხელი გავუშვი, მინდოდა მარტო დამეტოვებინა... შევცდით: ვიღაც სხვა იყო.

- რისი შეგეშინდათ? რატომ გამიშვით ხელი? - ნასტენკამ ხელი გამომიწოდა, - რა მოხდა? ბოლოს და ბოლოს ერთად შევხვდებით, ძალიან მინდა დაინახოს, როგორ გვიყვარს ერთმანეთი!

- როგორ გვიყვარს ერთმანეთი! - წამოვიძახე უნებლიეთ.

"ნასტენკა, ნასტენკა! რამდენი რამ მითხარი ამ სამი სიტყვით! ასეთი სიყვარული ხანდახან ყინულის ლოლუად ეკიდება გულს და უსაშველოდ ამძიმებს სულს. ხელები შენი ცივია, ჩემი კი ცეცხლივით მცხუნვარე. ნამდვილად ბრმა ხარ! ზოგჯერ ბედნიერი ადამიანი საშინლად აუტანელია! მაგრამ მე არ შემძლია გაბრაზება შენზე!.."

ბოლოს და ბოლოს გულმა ვედარ გაძლო!

- მომისმინეთ, ნასტენკა! - თითქმის დაუწყვირე, - იცით, რა მჭირდა? როგორ გავატარე მთელი დღე?

- კი მაგრამ რა მოხდა? სასწრაფოდ მიახბეთ! აქამდე რატომ არაფერი მითხარით?

- როდესაც თქვენი ყველა დაგალება შევასრულე - მივედი იმ კეთილ ადამიანებთან, გადავეცი წერილი, შემდეგ... შემდეგ შინ დავბრუნდი და დასაძინებლად გავემზადე.

- მხოლოდ ეს არის? - გაიცინა ნასტენკამ.

- ჰო, თითქმის მხოლოდ ეს არის, - ვუთხარი მტკიცედ, მაგრამ ვგრძნობდი, რომ თვალები დაბინდა სულელურმა ცრემლმა. - ჩვენს შეხვედრამდე ერთი საათით ადრე გამეღვიძა. თუმცა, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს სულ არ მიძინია. არ ვიცი, რა დამემართა. მოვდიოდი და ვფიქრობდი, რომ ყველაფერს გიამბობდით, გიამბობდით, როგორ გაჩერდა ჩემთვის დრო, და ამ დრომ როგორ დატოვა გრძნობა... ჰო, დატოვა! სამარადისოდ დატოვა... წუთი საუკუნედ გაიწელა, სიცოცხლე შეჩერდა... გამეღვიძა და მომეჩვენა, თითქოს ვიღაც მუსიკას უკრავდა, დიდი ხნის წინ მოსმენილ მელოდიას, უმშვენიერესს, მაგრამ უკვე გადავიწყებულს. ვგრძნობდი - ეს მუსიკა მუდამ ბუდობდა სულში და მუდამ ცდილობდა ამ სულიდან ჰანგებად გადმოღვრილიყო... ოღონდ, მხოლოდ ახლა შეძლო...

- ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! - შემაწყვეტინა ნასტენკამ, - ეს რა ხდება? ვერაფერს ვიგებ!

- ნასტენკა! ჩემი უცნაური ვნებები მინდოდა თქვენთვის გამეზიარებინა, - წამოვიწყე საცოდავი ხმით. ამ ხმაში იმედი იმალებოდა, თუმცა შორეული, ძლიერ ბუნდოვანი.

- საკმარისია, შეწყვიტეთ, საკმარისია! - მიპასუხა სასწრაფოდ. წუთიც არ დასჭირდა! ყველაფერს მიხვდა! ნამდვილი გრძნეული!

უეცრად სულ სხვანაირი გახდა - უჩვეულოდ ყბედი, მხიარული, ერთი სიტყვით, ცელქ გოგონას დაემსგავსა. ხელი მომკიდა, იცინოდა და ძალიან უნდოდა, მეც გავეცინებინე. თუ რაიმეს სერიოზულად ვეტყოდი, უფრო ძლიერად და ძლიერად იცინოდა, კისკისებდა... უკვე ვბრაზობდი, ნასტენკა კეკლუცობდა.

- მომისმინეთ, - მითხრა მან, - ცოტა არ იყოს მწყინს, რომ არ შეგიყვარდით. რა ძნელია ადამიანის შეცნობა! მაგრამ ქედუხრელო ვაუბატონო, აღიარეთ, რომ ჩემი გულწრფელობა ნამდვილად იმსახურებს ქებას... მე ხომ ყველაფერს გეუბნებით, არაფერს ვიტოვებ გულში, თითოეულ ნააზრევს გიზიარებთ... ყველაზე სულელურსაც კი.

- თუ არ ვცდები, თერთმეტი საათია, არა? - ვუთხარი, როდესაც ქალაქის კოშკის საათის ზარების გუგუნნი გავიგონე. ის უეცრად შეჩერდა, სიცილი შეწყვიტა და თვლა დაიწყო.

- ჰო, თერთმეტია, - თქვა გაუბედავად, თითქოს შეშინებულმა.

საშინლად შემაწუხა სინდისმა. რატომ შემომიტირა ბოროტებამ! რატომ შევახსენე! ვაიძულე, დაეთვალია საათები... საკუთარ თავს ვწყევლიდი. ისე შემეცოდა... აღარ ვიცოდი, როგორ გამომესყიდა დანაშაული. მისი დამშვიდება გადავწყვიტე. ათასი მიზეზი მოვიგონე, რის გამოც შესაძლებელი იყო, ადამიანი ვერ მისულიყო დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას... ალბათ არავის მოტყუება იქნებოდა ისე ადვილი, როგორც ამ დაბნეული ქალიშვილის. ზოგადად ასეთ წუთებში ყველას სიამოვნებს დამამშვიდებელი სიტყვების მოსმენა, თუ ამ სიტყვებში სიმართლის თუნდაც აჩრდილი იმალება.

- ბოლოს და ბოლოს, სასაცილოა! - მგზნებარედ ავლაპარაკდი, რადგან საკუთარი მტკიცებულებები მართლაც უტყუარი, უზადო მეჩვენებოდა! თავადვე მატკობდა ჩემი ორატორული ნიჭი. - ჰო, მოსვლას ვერაფრით შეძლებდა. მეც კი დამაბნინეთ, ნასტენკა, დროის შეგრძნება დამაკარგვინეთ... დაფიქრდით: ის მხოლოდ ახლა მიიღებდა წერილს. დაგუშვათ, ვერ ახერხებს მოსვლას, დაგუშვათ წერილის მოწერას აპირებს, წერილს ხომ ხვალამდე ვერავინ მოგაწვდით. გათენდება თუ არა,

იმ ხალხს მივაკითხავ, ყველაფერს გავიგებ და პასუხს შეგატყობინებთ. ათასი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო... იქნებ სახლში არ იყო, როდესაც თქვენი წერილი მიუტანეს? იქნებ ჯერ არც წაუკითხავს? ასეც ხდება ხოლმე.

- ჰო, ჰო! რასაკვირველია, ყველაფერი ხდება, - მეთანხმებოდა ნასტენკა, მაგრამ მის ხმაში იმედგაცრუება იგრძნობოდა... ანუ ფიქრები აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ სიტყვებს. ნასტენკას უნდოდა, რაღაც სხვა გზა მოეძებნა... - იცით, რა უნდა გააკეთოთ? ხვალ, რაც შეიძლება ადრე მიდით, თუ რაიმეს გაიგებთ, მაშინვე შემატყობინეთ. ხომ იცით, სად ვცხოვრობ? - მკითხა და თავისი მისამართი გამიმეორა.

უცრად კვლავ აღერსად დაიღვარა, ისეთი ნაზი, ისეთი მოკრძალებული შეიქნა... თითქოს ყურადღებით ისმენდა ჩემს თითოეულ სიტყვას, მაგრამ, როდესაც რაღაც ვკითხე, არ მიპასუხა, დაიბნა და თავი მხრებში ჩამალა. თვალებში ჩავხედე - ტიროდა.

- ეს როგორ შეიძლება? ბავშვივით იქცევით! ახლავე შეწყვიტეთ ტირილი!

ცდილობდა, დამშვიდებულიყო, გაეცინა, მაგრამ ნიკაპი უკანკალებდა, ვერც მკერდს იმორჩილებდა, საოცარი სისწრაფით სუნთქავდა.

- თქვენზე ვფიქრობ, - მითხრა მცირე დუმილის შემდეგ, - ისეთი კეთილი ხართ, ალბათ ქვის გული უნდა მქონდეს, რომ ამ სიკეთეს ვერ ვგრძნობდე. იცით, ახლა რა ვიფიქრე? მას შეგადარეთ... რატომ ის და არა თქვენ? რატომ არ არის ის თქვენნაირი? გაცილებით თქვენზე უარესია და მაინც... თქვენზე მეტად მიყვარს.

არაფერი ვუპასუხე. როგორც ჩანს ელოდა, რომ რაღაცას ვეტყვოდი.

- შესაძლოა, კარგად არ ვიცნობ. თითქოს ყოველთვის მეშინოდა მისი. მუდამ ძალიან სერიოზული, ზედმეტად ამაყი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა. არა, მე ვიცი, რომ ასე მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა, სინამდვილეში ჩემზე გაცილებით კეთილი და აღერსიანია... მახსოვს, როგორ შემომხედა მაშინ, როდესაც ტომრით ხელში მივაღექი. და მაინც მის მიმართ უსაზღვროდ დიდ პატივისცემას ვგრძნობ... როგორ ფიქრობთ, გამოდის, რომ არ ვართ თანასწორნი, ერთმანეთს არ შევეფერებით?

- არა, ნასტენკა, არა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ყველაზე მეტად გიყვართ ამქვეყნად, საკუთარ თავზე გაცილებით მეტად.

- დაეშვათ ასეა, - მიპასუხა გულუბრყვილო ნასტენკამ, - მაგრამ იცით, რა მინდა გითხრათ? მხოლოდ ახლა კონკრეტულად მის შესახებ კი არ ვილაპარაკებ, ისე ზოგადად... ადრეც ხშირად მიფიქრია ამაზე. მომისმინეთ, ნეტავ რატომ არ ჩამოყალიბდა ჩვენ შორის ჭეშმარიტად დაძმური ურთიერთობა? რატომ ხდება ისე, რომ საუკეთესო ადამიანიც კი მეორე ადამიანს რაღაცას უმაღლავს? თუნდაც ამ წუთას რატომ არ უნდა ვთქვათ ის, რასაც მართლა ვგრძნობთ? ყველა ცდილობს იმაზე გაცილებით სასტიკი გამომეტყველების მიღებას, ვიდრე სინამდვილეშია, თითქოს გრძნობების გამოხატვა ამ გრძნობების შეურაცხყოფას ნიშნავს...

- მართალი ხართ, ნასტენკა! მაგრამ ამას მრავალი მიზეზი აქვს, - შევაწყვეტინე საუბარი, რადგან სწორედ ამ წუთებში ყველაზე მეტად საკუთარი გრძნობების გამჟღავნების მრცხვენოდა.

- არა, არა! - მგზნებარედ მიპასუხა ნასტენკამ, - აი, მაგალითად თქვენ - სრულებით არ ჰგავხართ სხვებს! არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ ის, რასაც ვგრძნობ, მაგრამ მეჩვენება... თუნდაც ახლა, ამ წუთებში... თითქოს ჩემ გამო რაღაცას თმობთ, თითქოს მსხვერპლი გაიღეთ, - დაამატა ნასტენკამ და გაუბედავად ამომხედა. - მაპატიეთ, ასე რომ გელაპარაკებით: მე ხომ უბრალო გოგონა ვარ, ბევრი არაფერი მინახავს და გამიგია, ამიტომ წესიერად ლაპარაკიც არ ვიცი, - გაღიშებას ცდილობდა, მაგრამ რაღაც ფარულმა გრძნობებმა ხმა აუკანკალა. - მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ მადლობელი ვარ და... რომ მეც ყველაფერს ვგრძნობ... ღმერთს შევავედრებ თქვენს ბედნიერებას... ამის გამო. რაც მაშინ მიამბეთ მეოცნებეზე, სიმართლე არ არის, ანუ თქვენ არ ხართ ასეთი. საკუთარი თავი კი არა, სრულიად სხვა ადამიანი დაახასიათეთ. თუ ოდესმე ვინმე შეგიყვარდებათ, ბედნიერებას გისურვებთ! მას კი, ვისაც შეიყვარებთ, არაფერს ვუსურვებ, რადგან ის ისედაც ბედნიერი იქნება. მე ქალი ვარ, ამიტომ ზუსტად ვიცი ეს და რასაც გეუბნებით, უთუოდ უნდა დაიჯეროთ...

გაჩუმდა, ძლიერად მომიჭირა ხელი. მღელვარებისგან ხმას ვერ ვიღებდი. ასე გავიდა რამდენიმე წუთი.

- როგორც ჩანს, დღეს არ მოვა! უკვე გვიანია!.. - ბოლოს და ბოლოს დაარღვია ღუმილი ნასტენკამ.

- ხვალ მოვა, - განვაცხადე მტკიცედ.

- ჰო, - მაშინვე გამხიარულდა, - ახლა ჩემთვისაც ცხადია, რომ ხვალამდე მოსვლას ვერაფრით შეძლებდა. კარგი, ნახვამდის! ხვალამდე! თუ იწვიმებს, შესაძლოა აქამდე ვერ მოვადწიო, მაგრამ ზევ უთუოდ გამოვჩნდები, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც მოვალ. აუცილებლად დამელოდეთ. მინდა გნახოთ, მინდა ყველაფერი გიამბოთ.

დამშვიდობებისას ხელი გამომიწოდა, ნათელი თვალები აუკაშკაშდა და მკითხა:

- ხომ მუდამ ერთად ვიქნებით? ხომ ასეა?

ნასტენკა, ნასტენკა! რომ იცოდე, როგორი მარტოსული ვარ ახლა!

როდესაც ცხრა საათი გახდა ოთახში ვეღარ გავჩერდი. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, მაინც ქუჩაში გავედი. ჩვენს პატარა სკამზე დავეჯექი. ნასტენკას გზაჯვარედინისკენ წავედი, მაგრამ ისე დავბრუნდი უკან, რომ მისი სახლის ფანჯრებისთვისაც არ შემხედავს, თუმცა ზუსტად ორი ნაბიჯი მაშორებდა ამ ფანჯრებს. როდესაც საკუთარ ოთახში შევედი, გულზე ლოდივით დამაწვა სევდა, ეს ისეთი გაუსაძლისი სევდა იყო! როგორი ნესტიანი, ნაღვლიანი ღამეა! კარგი ამინდი რომ ყოფილიყო, მთელ ღამეს ქუჩაში გავატარებდი, ვისეირნებდი...

მაგრამ ხვალამდე, ხვალამდე! ხვალ ის ყველაფერს მიაბობს.

დღეს არ გამოგზავნა წერილი. რა მნიშვნელობა აქვს. ასეც უნდა იყოს. ისინი უკვე ერთად არიან...

ღამე მეოთხე

ღმერთო, როგორ დამთავრდა ეს ყველაფერი! რით დამთავრდა! ცხრა საათზე მივედი. ის უკვე იქ იყო. შორიდანვე დავინახე. ზუსტად ისე იდგა, როგორც მაშინ პირველად რომ შევხვდი. სანაპიროს მოაჯირს დაყრდნობილი... ვერც კი შენიშნა, როგორ მიუახლოვდი.

- ნასტენკა! - დავუძახე. ისე ვღელავდი, ძლივს ვიმორჩილებდი საკუთარ თავს.

სასწრაფოდ მოტრიალდა ჩემკენ და მკითხა:

- რა? რა ხდება? ჩქარა! მითხარით!

გაკვირვებული ვუყურებდი.

- წერილი, სად არის წერილი? - მოაჯირს მძღავრად ჩასჭიდა ხელი.

- არა, წერილი არ მაქვს. თქვენთან... არ მოსულა?

გაფითრდა, თითქოსდა გაქვავდა, დიდი ხნის განმავლობაში არ მაშორებდა თვალს. უკანასკნელი იმედი დაუშუსხვრიე.

- კარგი დავივიწყოთ! - ამოთქვა ბოლოს და ბოლოს, - დავივიწყოთ... თუკი მიმატოვა.

თვალები დახარა, შემდეგ უნდოდა ჩემთვის შემოეხედა, მაგრამ ვერ შეძლო. რამდენიმე წუთის განმავლობაში საკუთარ მღელვარებას ებრძოდა... უეცრად ხიდის რიკულებს დაემხო და ტირილი დაიწყო.

- საკმარისია, საკმარისი! - ვთქვი და ვიგრძენი, რომ ძალა არ მყოფნიდა, არ შემეძლო მისი დამშვიდება... არ ვიცოდი, რა მეთქვა.

- არა, არ არის საჭირო ჩემი დამშვიდება, - მეუბნებოდა ნასტენკა და ცრემლები ახრჩობდა, - არაფერი მითხრათ მის შესახებ, აღარ მითხრათ, რომ მოვა, რომ სასტიკად და არაადამიანურად არ მიუტოვებთ. რატომ? რისთვის? ნუთუ იმ წერილში, იმ ბედკრულ წერილში რაიმე გამაღიზიანებელი დავწერე?..

ქვითინმა ლაპარაკი შეაწყვეტინა. ვუყურებდი და გული მეგლიჯებოდა.

- რა არაადამიანური სისასტიკეა, - გაიმეორა კვლავ, - ერთი სიტყვაც არ მომწერა, ერთი სტრიქონიც ვერ გაიმეტა! პასუხი მაინც გაეცა! ეთქვა, რომ აღარ ვჭირდები! სამი დღეა ტყუილად ველოდები! როგორი ადვილია მისთვის აწყენინოს, შეურაცხყოფა მიაყენოს საცოდავ, მიუსაფარ გოგონას, რომელიც მხოლოდ იმაშია დამნაშავე, რომ ასე თავდავიწყებით შეუყვარდა! რამდენი რამ გადავიტანე ამ სამი დღის განმავლობაში! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! როდესაც მახსენდება, როგორ მივედი მასთან, როგორ დავიმცირე თავი, ვტიროდი და სიყვარულს ვევედრებოდი... სულ მცირე სიყვარულს მაინც... და ამის შემდეგ!.. მისმინეთ, - უეცრად აუციმციმდა შავი თვალები, - ასე არ უნდა მომხდარიყო! არაბუნებრივია! ან თქვენ მოტყუვდით, ან - მე. იქნებ საერთოდ არ მიუღია წერილი? იქნებ არაფერი იცის? როგორ შეიძლება! თავად განსაჯეთ, მითხარით, ღვთის წყალობით, ამისხენით! მე არაფერი მესმის! შეიძლება ასე ბარბაროსულად მოქცევა?! რაიმე ხომ არ გაიგო? იქნებ ვინმემ რაღაც ცუდი უთხრა ჩემ შესახებ? თქვენ რას ფიქრობთ?

- მომისმინეთ, ნასტენკა, სვალ მივალ მასთან.

- მერე?

- ყველაფერს გამოვიკითხავ და ყველაფერს ვუამბობ.

- მერე?

- წერილი დაწერეთ. ვაიძულებ, პატივი სცეს თქვენს საქციელს, ყველაფერს გაიგებს და თუ...

- არა, არავითარ შემთხვევაში, საკმარისია! სიტყვასაც აღარ დავძრავ, სტრიქონსაც აღარ მივწერ! საკმარისია! მე მას არ ვიცნობ, აღარ მიყვარს, დავი...ვი...წყებ...

- დაწყნარდით, დაწყნარდით! აი, აქ დაჯექით ნასტყნკა, - ვუთხარი და სკამზე დავსვი.

- ძალიან მშვიდად ვარ! ჰო, ნამდვილად! ცრემლები?.. ცრემლები ამოშრება! ფიქრობთ, რომ თავს მოვიკლავ?..

გული დამიმძიმდა. მინდოდა, რაღაც მეთქვა, მაგრამ ვერ შევძელი.

- მომისმინეთ! - ნასტყნკამ ხელი მომკიდა, - მითხარით: თქვენ ასე არ მოიქცეოდით? არ დასცინებდით იმას, ვინც თვითონ მოვიდოდა თქვენთან? არ გააკიცხავდით ამგვარი სულელური საქციელის გამო? თუ შეიფარებდით, იფიქრებდით, რომ ის მარტოა და ვერ შეძლო, გაქცეოდა სიყვარულს? რომ უდანაშაულოა, უდანაშაულო!.. ცუდი არაფერი გაუკეთებია! ღმერთო! ღმერთო ჩემო!..

- ნასტყნკა! - წამოვიყვირე, აღარ შემეძლო, ვეღარ ვიმორჩილებდი საკუთარ თავს. - ნასტყნკა! საშინლად ვიტანჯები! გულს მიწამლავთ, მახრჩობთ! უკვე ვეღარ გაგწმედები! ბოლოს და ბოლოს უნდა გითხრათ, როგორ მიდულს გული...

სკამიდან ავდექი. ხელი მომკიდა და გაკვირვებულმა ჩამხედა თვალებში.

- რა გემართებათ?

- მომისმინეთ! - მტკიცედ მივუგე მე, - კარგად მომისმინეთ, ნასტყნკა! რასაც ახლა გეტყვით, შესაძლოა არასდროს მოხდეს, მაგრამ მოთმენა აღარ შემიძლია. თქვენ იტანჯებით და ამ ტანჯვის გამო, ვიცი, მაპატიებთ!.. გთხოვთ მაპატიოთ!..

- კი მაგრამ, რა ხდება? - ტირილი შეწყვიტა და დაკვირვებით შემომხედა. მის თვალებში რაღაც უცნაური ცნობისმოყვარეობა აკიაფდა. - რა დაგემართათ?

- ეს ოცნება აუხდენელია... მაგრამ მე თქვენ მიყვარხართ! ჰო, უკვე ყველაფერი ვთქვი! - ხელი ჩავიქნიე. - ახლა, თავად განსაჯეთ - შეგიძლიათ თუ არა მესაუბროთ ისე, როგორც წუთის წინ მესაუბრებოდით და მომისმინოთ...

- მერე რა მოხდა? - შემაწყვეტინა ნასტენკამ, - რა მოხდა? დიდი ხანია ვიცი, რომ გიყვარვართ, უბრალოდ მეჩვენებოდა... თითქოს ზერელე იყო ეს გრძნობა... ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

- ჰო, თავიდან ზერელე იყო, ახლა კი, ახლა... ზუსტად იმავე მდგომარეობაში ვარ, როგორშიც თქვენ იყავით... აი, მაშინ, როდესაც ტომრით ხელში მიხვედით მასთან. არა, უარესში, რადგან მას მაშინ არავინ უყვარდა, თქვენ კი უკვე შეყვარებული ხართ, ნასტენკა.

- რას ამბობთ! ვერაფერი გავიგე. რატომ... ჰო, თუმცა, რატომ კი არა... აი, ასე უეცრად... ღმერთო, რა სისულელეებს ვლაპარაკობ! მაგრამ თქვენ...

ნასტენკა საშინლად დაიბნა. ლოყები აუწითლდა, თვალები დახარა.

- რა შემიძლია გავაკეთო, ნასტენკა? არ ვიცი, როგორ მოვიქცე! დამნაშავე ვარ, ბოროტად გამოვიყენე... და მაინც... არა! არ ვარ დამნაშავე! მერწმუნეთ, გული მეუბნება, ვგრძნობ, რომ არასდროს გაწყენინებთ, უბრალოდ ვერ შევძლებ შეურაცხყოფის მოყენებას თქვენთვის! მუდამ თქვენი მეგობარი ვიყავი, ახლაც მეგობრად ვრჩები, არასდროს არავისთვის, არაფრისთვის მიღალატია. მეტირება, ცრემლები მახრჩობს ნასტენკა... თუმცა, ვის რას უშაგებს ჩემი ცრემლები... ცრემლები? ცრემლები ამოშრება...

- დაჯექით, - მითხრა და ძალით დამსვა სკამზე, - ღმერთო ჩემო!

- არა! არ დაგჯდები. აქ დარჩენა აღარ შემიძლია, თქვენ ჩემი დანახვაც არ გინდათ, უბრალოდ ყველაფერს გეტყვით და წავაღ. არ მინდოდა გაგეგოთ, რომ მიყვარხართ, ეს ჩემი საიდუმლო უნდა ყოფილიყო, საკუთარი ეგოიზმი თავს არ უნდა მომეხვია თქვენთვის. არა! ვერ მოვითმინე. თქვენ თვითონ დაიწყეთ ამის შესახებ ლაპარაკი, ყველაფერში თქვენ ხართ დამნაშავე. და... არ გაქეთ უფლება გამაგდოთ...

- არა, არც ვაპირებ, არა! - ამბობდა ნასტენკა, საწყალს ისე უჭირდა საკუთარი დაბნეულობის დამალვა.

- არ გამაგდებთ? არა? მე კი თვითონ მინდოდა გაქცევა. აუცილებლად წავაღ, ოღონდ ჯერ ყველაფერს ვიტყვი, რადგან, როდესაც თქვენ ლაპარაკობდით, ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებოდი, როდესაც ტიროდით, იმიტომ (მომიტევეთ, მაგრამ დავარქმევ სახელს), რომ უარყვეს თქვენი სიყვარული, ვიგრძენი, როგორ მიყვარხართ, რა ძლიერ მიყვარხართ, ნასტენკა!.. ისე გავმწარდი! გავმწარდი იმიტომ,

რომ ძალიან მიყვარხართ და მაინც ვერაფრით გეხმარებით... გული მეწურება, გრძნობების დამალვა აღარ შემიძლია, ყველაფერი უნდა მეთქვა, ნასტენკა!..

- ჰო, ჰო! მითხარით, არაფერი დამიმალოთ! - თქვა ნასტენკამ და უცნაურად აიქნია ხელი. - ალბათ გიკვირთ... მაგრამ ილაპარაკეთ... და მერე მე გეტყვით! მეც ყველაფერს გეტყვით!

- ვიცი, რომ გეცოდებით, ნასტენკა, უბრალოდ გეცოდებით! დაკარგულის პოვნა შეუძლებელია! ერთხელ ნათქვამს ვეღარ დამალავ! ასე არ არის? ახლა უკვე იცით. წერტილი დასმულია. კარგია, ძალიან კარგი! სამყარო მშვენიერი გახდა! ოღონდ მომიხმინეთ. როდესაც ტიროდით, ვფიქრობდი (ღმერთო, მომეცი ძალა ამოვთქვა ის, რასაც ვფიქრობდი!). ჰო, ვფიქრობდი (რასაკვირველია, ეს არასდროს მოხდება), ვფიქრობდი, რომ თქვენ... ის უკვე აღარ გიყვართ. მაშინ... სამი დღეა მხოლოდ მომავალზე ვოცნებობ! მაშინ... ძალ-ღონეს არ დავიშურებდი და მივალწვედი მიზანს - უთუოდ შეგაყვარებდით თავს. გახსოვთ? თვითონვე მითხარით, რომ უკვე თითქმის გიყვარვართ. ჰო, სულ ეს არის, რისი თქმაც მინდოდა. მხოლოდ ისღა დარჩა სათქმელი, რა მოხდებოდა მაშინ, თუკი თქვენც შეგიყვარდებოდით. სხვა აღარაფერი! ნასტენკა, ჩემო მეგობარო, - მიმანია, რომ ვაგრძელებთ მეგობრობას, - მე, რასაკვირველია, ერთი უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, იმდენად უსუსური, ზოგადად ვერავინ მამჩნევს... რაღაც უაზრობას ვლაპარაკობ... დაბნეულობის ბრალია. ერთი სიტყვით, იმ, ჩემთვის უცხო, ადამიანში შეყვარებულიც კი ისე მეყვარებოდით, ისე მეყვარებოდით, რომ... არასდროს დაგამძიმებდათ ჩემი სიყვარული. მხოლოდ ერთ რამეს იგრძნობდით, იგრძნობდით ყოველდღე, ყოველ წამს... რომ ჩემი სიყვარულით ანთებული გული... კეთილშობილი, მაღლიერებით აღსავსე გული მხოლოდ თქვენთვის ფეთქავს. ოჰ, ნასტენკა, ნასტენკა! არ ვიცი, რას მერჩოდით!..

- ნუ იტირებთ, გთხოვთ, არ მინდა, რომ ტიროდეთ, - მითხრა ნასტენკამ და სასწრაფოდ წამოდგა, - წამოდით, ადექით, წამომყევით, შეწვევით ტირილი, - მეუბნებოდა და თავისი ცხვირსახოცით მწმენდდა ცრემლებს, - ჰო, წავიდეთ, რაღაც უნდა გითხრათ... დაუშვათ, მიმატოვა, დაუშვათ, უკვე დავავიწყდი... არ მოგატყუებთ - მე ის ჯერ კიდევ მიყვარს... მაგრამ, მომიხმინეთ და მიპასუხეთ. აი, თუკი თქვენ შემეყვარდებით, უფრო სწორად, თუკი მხოლოდ... ღმერთო ჩემო! ახლა რომ მახსენდება, როგორ გაყენებდით შეურაცხყოფას მაშინ, როდესაც დავცინოდი თქვენს სიყვარულს, როდესაც გაქებდით იმიტომ, რომ არ შეგიყვარდით!.. ღმერთო

ჩემო! როგორ ვერ წარმოვიდგინე, რატომ ვერ წარმოვიდგინე, რა სულელი ვიყავი...
კარგი, უკვე გადავწყვიტე და ყველაფერს გეტყვით...

- მომისმინეთ ნასტენკა, მე ახლა წავალ! წავალ, რადგან ვხედავ...
გაწვალვებთ. ვხედავ, სინდისი გქენჯნით იმიტომ, რომ დამცინოდით. მე კი არ მინდა,
არ მინდა თქვენი ისედაც დამძიმებული გული უფრო მეტად... დამნაშავე ვარ,
მშვიდობით!

- შეჩერდით, მომისმინეთ: ცოტა ხანს დაიცადეთ! არ შეგიძლიათ?

- რას ველოდო, როგორ?

- მე ის მიყვარს, მაგრამ ეს გაივლის, უნდა გაიაროს, არ შეიძლება არ
გაიაროს, უკვე ვგრძნობ, რომ მალე გაივლის... არც კი ვიცი, შესაძლოა დღესვე
დამთავრდეს ყველაფერი, რადგან მე ის მძულს. მაშინ როდესაც თქვენ ჩემთან
ერთად ტიროდით, ის დამცინოდა! თქვენ ხომ არასდროს გამიმეტებდით... არ
გამიმეტებდით, რადგან გიყვარვართ, მას კი არ ვუყვარდი... ბოლოს და ბოლოს მეც
მიყვარხართ... ჰო, მიყვარხართ! ისე მიყვარხართ, როგორც თქვენ გიყვარვართ...
აღრეც ხომ გითხართ, გახსოვთ? მიყვარხართ იმიტომ, რომ მასზე უკეთესი ხართ,
მასზე კეთილშობილი, იმიტომ რომ, რომ, რომ ის...

- იმდენად დედავდა, სათქმელი ვეღარ დაამთავრა, თავი მხარზე დამადო,
შემდეგ მკერდზე და მწარედ აქვითინდა. ვამშვიდებდი, ვეხვეწებოდი, შეეწყვიტა
ტირილი, მაგრამ არ შეეძლო. ხელს მიჭერდა, ამოისუნთქავდა თუ არა, მეუბნებოდა:
"დამაცადეთ, დამაცადეთ, ახლავე! აღარ ვიტყვებ! მინდა გითხრათ... არ იფიქროთ...
იმიტომ კი არ ვტირი, რომ მეცოდებით... ჰო, მალე გაივლის..."

- როგორც იქნა შეწყვიტა ტირილი, ცრემლები მოიწმინდა და ისევ
გაუწყევით სანაპიროს. მინდოდა, დავლაპარაკებოდი, მაგრამ მეხვეწებოდა, ცოტა
ხანს არ ამომელო ხმა. ასე მდუმარედ დავდიოდით... ბოლოს და ბოლოს, ძალ-ღონე
მოიკრიბა და ლაპარაკი დაიწყო...

- ჰო, აი რა, - წამოიწყო სუსტი, აკანკალებული ხმით, მაგრამ ამ ხმაში
უეცრად ისეთი სითბო ვიგრძენი, უცნაურად ამიჩქროლდა გული, - არ იფიქროთ,
რომ თავქარიანი ვარ, რომ ადვილად შემიძლია დავივიწყო და ვუდალატო... მთელი
წლის განმავლობაში მიყვარდა, ღმერთს გეფიცებით, ფიქრებშიც კი არასდროს
მიდალატია მისთვის. მან ეს არ დააფასა, უფრო მეტიც, აბუხად აიგდო ჩემი
გრძნობები, გული მატკინა, შეურაცხყოფა მომაყენა. არა! აღარ მიყვარს! მე
მხოლოდ ამადლებული, კეთილშობილი ადამიანის სიყვარული შემიძლია, რადგან

თვითონაც ასეთი ვარ... ის არ არის ჩემი ღირსი, - კარგი, დავანებოთ თავი! ასე უკეთესია, მომავალში მაინც გავიცნობდი, განვიხიბლებოდი და ეს უარესი იქნებოდა... ყველაფერი დამთავრდა! ვინ იცის, - ხელი ხელზე მომიჭირა, - იქნებ სინამდვილეში არც მყვარებია? იქნებ ჩემი გრძნობა წარმოსახვამ შექმნა, რაღაც ბავშვურმა სისულელემ... იქნებ ეს გრძნობა მხოლოდ იმიტომ გაჩნდა, რომ ბების ტყვეობაში ვცხოვრობდი? იქნებ ის კი არა, სხვა უნდა მიყვარდეს? ადამიანი, რომელიც შემიცოდებს და, და... ჰო, აღარ გვინდა, სჯობს აღარ ვილაპარაკო, - ნასტენკას ნერვიულობისგან სული ესუთებოდა, - ანუ, იმის თქმა მინდოდა... მიუხედავად იმისა, რომ ის მიყვარს (არა, მიყვარდა), მიუხედავად ამ სიყვარულისა... თუ თქვენ იმდენად გიყვარვართ... შეძლებთ ამოძირკვით, დამავიწყოთ მისი სიყვარული... თუკი არ დამტოვებთ მარტო... მანუგეშებთ, გვერდში ამომიდგებით... გექნებათ სურვილი. მუდამ ისე გიყვარდეთ, როგორც ახლა, გეფიცებით... ნამდვილად გახდებით ჩემი სიყვარულის ღირსი... ჰო... ახლა შემირთავთ ცოლად?

- ნასტენკა, - წამოვიყვირე. სიხარულის ცრემლები მახრჩობდა, - ნასტენკა!.. ნასტენკა!..

- საკმარისია, საკმარისი! - მეუბნებოდა... უჭირდა საკუთარ გრძნობებთან გამკლავება, - უკვე ყველაფერი ნათქვამია; ხომ ასეა? ასეა? თქვენც ბედნიერი ხართ და მეც. ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, ძალიან გთხოვთ... აღარ შემიძლია, თუ ღმერთი გწამთ, სხვა თემაზე ვისაუბროთ!..

- კარგი, ნასტენკა, კარგი! უბრალოდ ძალიან ბედნიერი ვარ, მე... ჰო, აბა დავიწყოთ, ჩქარა დავიწყოთ სხვა საკითხებზე ლაპარაკი! მზად ვარ...

ჩვენ არ ვიცოდით, რაზე გვესაუბრა... ვიცინოდით, ვტიროდით, ათასობით სისულელეს ვამბობდით. ხან წინ მივდიოდით, ხან უეცრად ვბრუნდებოდით უკან. ერთი სიტყვით, ქუჩაც გადავსერეთ, ტროტუარიც... მთელი სანაპირო. ისე ვიქცეოდით, როგორც პატარა ბავშვები...

- ახლა მარტო ვცხოვრობ, ნასტენკა. ხვალ კი... ღარიბი ვარ, ჩემი შემოსავალი ორასი ათასს არ აღემატება, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი...

- რასაკვირველია, ბებიასაც ხომ აქვს პენსია. ბებია ჩვენთან უნდა იცხოვროს, ხელს არაფერში შეგვიშლის.

- ბებია? აუცილებლად... ოღონდ, აი მატრენა...

- ჰო, ჩვენც გვყავს ფეკლა!

- მატრენა კეთილია, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს, წარმოსახვის უნარი არ გააჩნია. მაგრამ არა უშავს!..

- ეგ არაფერი! მშვენივრად იცხოვრებენ ერთად, ოღონდ ხვალ გადმოდით.

- გადმოვიდე? ანუ, თქვენთან დავსახლდე? კარგი, თანახმა ვარ...

- ჩვენი მანსარდა დაიჭირავეთ. იქ ახლა არავინ ცხოვრობს. ერთი მდგმური გეყავდა, დიდგვაროვანი მოხუცი ქალბატონი და უკვე გადავიდა. ვიცი რომ ბებიას სურს, მანსარდა ახალგაზრდა მამაკაცს მიაჭირავოს. სულ ვეკითხები, თუ რატომ უნდა, მისი მდგმური მაინცდამაინც ახალგაზრდა მამაკაცი იყოს. მუდმივად ერთსა და იმავეს მპასუხობს: "არ იფიქრო ნასტენკა, საქმროს კი არ ვეძებ შენთვის, უბრალოდ დაგებრდიო." ჰოდა, მივხვდი, რომ სწორედ ჩემს გათხოვებას ცდილობს...

- ნასტენკა!..

ორივეს გაგვეცინა.

- ჰო, მართლა, თქვენ სად ცხოვრობთ? დამავიწყდა.

- იქ, ... ხიდთან, ბარანიკოვის სახლში.

- დიდი სახლია?

- კი, დიდი.

- ჰო, ვიცი ეგ შენობა. კარგი სახლია, მაგრამ თქვენ მაინც სასწრაფოდ გადმოდით ჩვენთან...

- ხვალვე, ხვალვე გადმოვალ. მართალია, ბინის ქირა ბოლომდე არ დამიფარავს... არა უშავს, მალე ხელფასს ავიღებ და...

- მე კი ბავშვებს მოვამზადებ. თვითონაც მივიღებ ცოდნას და სხვებსაც ვასწავლი...

- შესანიშნავია... მალე მეც დამაჯილდოვებენ...

- ერთი სიტყვით, ხვალ უკვე ჩემი მდგმური გახდებით...

- "სვეელიელი დალაქის" წარმოდგენასაც დავესწრებით!

- რა თქმა უნდა, - გაიცინა ნასტენკამ, - არა, სჯობს სხვა სპექტაკლი ვნახოთ...

- ჰო, რასაკვირველია, რაიმე სხვა აჯობებს. დაუფიქრებლად წამომცდა...

აი, ასე ვლაპარაკობდით და ვსეირნობდით, თითქოს ბურუსში, სიზმარში დავაბიჯებდით... თავადაც ვერ ვაცნობიერებდით, რა ხდებოდა ჩვენს თავს. ხან ერთ

ადგილას ვჩერდებოდით და დიდხანს ვსაუბრობდით, ხან წინ და უკან დავდიოდით... სიცილი და ცრემლები ერთმანეთს ცვლიდა... დროდადრო ნასტენკა სახლში დაბრუნებას ითხოვდა, მე ვერ ვბედავდი შეკამათებას და სახლამდე მიცილებას ვთავაზობდი. წავიდოდით გზაჯვარედინისკენ, თხუთმეტ წუთში კი ვხვდებოდით, რომ ადგილიდან არ დავძრულვართ... კვლავ სანაპიროზე, ჩვენს სკამთან ვიდექით. ნასტენკა ხშირად ოხრავდა, ცრემლები აწვებოდა. ასეთ დროს გაურკვეველი შიში ყინულად იღვრებოდა მთელ ჩემს სხეულში... მაგრამ მაშინვე ხელს მკიდებდა და... კვლავ დავდიოდით, ვლაპარაკობდით, ვიცინოდით...

- ახლა ნამდვილად შინ დაბრუნების დროა, ძალიან გვიანია, - თქვა ნასტენკამ, - საკმარისია, მართლა ბავშვები ხომ არ ვართ!

- ჰო, მაგრამ უკვე ვეღარ დავიძინებ და აღარც წავალ სახლში.

- ალბათ მეც ვეღარ დავიძინებ. გამაცილეთ...

- აუცილებლად!

- ახლა კი ნამდვილად მივალწევთ თქვენს ბინამდე.

- ჰო, ნამდვილად...

- აბა, დაიფიცეთ!.. ოდესმე ხომ უნდა მივიდეთ სახლში!

- ვფიცავ! - ვუპასუხე სიცილით...

- მაშინ წავიდეთ!

- წავიდეთ.

- ზემოთ აიხედეთ ნასტენკა, შეხედეთ, ჩქარა შეხედეთ ცას! ხვალ არაჩვეულებრივი დღე იქნება. ცა - ასეთი ცისფერი, მთვარე - ასეთი... ოდესმე გინახავთ? შეხედეთ: ეს ყვითელი ღრუბელი საცაა მისწვდება მთვარეს, შეხედეთ, შეხედეთ!.. არა, გვერდი აუარა. უყურეთ, ნასტენკა, უყურეთ!..

მაგრამ ის არ უყურებდა ღრუბელს, დადუმებული იდგა, თითქოს გაქვავებული... შემდეგ გაუბედავად, თუმცა მძლავრად მომეკრო. უეცრად ათრთოლდა ჩემს ხელს ჩაჭიდებული ხელი, შეეხედე... კიდევ უფრო ძლიერად მომეკრო.

სწორედ ამ წუთებში ახალგაზრდა მამაკაცმა ჩაგვიარა... შეჩერდა, დაჟინებით შემოგვხედა. კვლავ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. გული გადამიქანდა...

- ნასტენკა, - ვუთხარი ჩურჩულით, - ვინ არის?

- ის არის! - ჩურჩულითვე მიპასუხა და უფრო მეტად აკანკალდა, უფრო ძლიერად მომეკრო... ფეხზე ძლივს ვიდექი, ვგრძნობდი, მალე წავიქცეოდი.

- ნასტენკა! ნასტენკა! შენ ხარ?! - გაისმა ხმა და ახალგაზრდა მამაკაცი ჩვენკენ წამოვიდა.

ღმერთო! როგორ იყვირა! თითქოს შეზანზარდა! როგორ მოსწყდა ჩემს ხელებს, სხეულს... როგორ გაფრინდა მისკენ!.. ვიდექი და მკვდარივით ვუყურებდი. მაგრამ... გაუწოდა თუ არა ხელი, ჩაეხუტა თუ არა, მაშინვე ჩემკენ მოტრიალდა, მომიახლოვდა, როგორც ქარიშხალი, როგორც ცას მოწყვეტილი ელვა და სანამ გონს მოვიდოდი, კისერზე მომხვია ხელები, მგზნებარედ მაკოცა. შემდეგ უსიტყვოდ გაიქცა მისკენ, ხელი მოჰკიდა და... წავიდნენ.

დიდხანს ვიდექი, დიდხანს ვუყურებდი... ბოლოს და ბოლოს, ორივე გაქრა.

დილა

ჩემი ღამეები დილამ დაასრულა. საშინელი დღე იყო. წვიმდა და წვიმის სვედისმომგვრელი წვეთები ფანჯრებს ეხეთქებოდა. ოთახში ბნელოდა, ქუჩები ბურუსში გახვეულიყო. თავი მტკიოდა, თავბრუ მეხვეოდა. ციებ-ცხელება ნელ-ნელა ეპარებოდა სხეულს.

- ფოსტალიონმა წერილი მოგიტანათ, ქალაქის ფოსტაში გამოუგზავნია ვიდაცას, - მაცნობა მატრენამ.

- წერილი! ვისგან არის? - სასწრაფოდ წამოვხტი სკამიდან.

- არ ვიცი, აბა, დახედეთ, იქნებ აწერია.

ღუქი მოვაგლიჯე. წერილი მისგან იყო!

"ო, მაპატიეთ, მაპატიეთ!" - მწერდა ნასტენკა, - "მუხლებზე დაჩოქილი გევედრებით, მაპატიეთ! თქვენც მოგატყუეთ და საკუთარი თავიც. ეს იყო სიზმარი, მოჩვენება... მთელი დღეა ვიტანჯები. მაპატიეთ! მაპატიეთ!..

არ გამკიცხოთ, ჩემი გრძნობები მართლა არ შეცვლილა. გითხარით, რომ მუდამ მეყვარებოდით, ახლაც მიყვარხართ, ეს უფრო მეტია, ვიდრე სიყვარული. ღმერთო! რომ შეიძლებოდეს ორივე ერთად მიყვარდეთ! რომ შეიძლებოდეს თქვენ იყოთ ის!"

უეცრად გამახსენდა მისივე სიტყვები: ნეტავ ის იყოთ თქვენ! ჰო, ნასტენკა, მაშინ ასე მითხარი...

"ღმერთია მოწამე, არაფერს დავიშურებდი თქვენთვის! ვიცი, როგორ გამძიმებთ დარდი. ... შეურაცხყოფა მოგაყენეთ, მაგრამ იცოდეთ, თუ ადამიანი

ჭეშმარიტად გიყვართ, ვერ შეძლებთ მუდამ ნაწყენი იყოთ მასზე. თქვენ კი ნამდვილად გიყვარვართ!

მადლობელი ვარ! დიახ... მადლობელი ვარ სიყვარულისთვის. ეს სიყვარული მუდამ მემახსოვრება... როგორც ტკბილი სიზმარი, რომელიც გაღვიძების შემდეგაც დიდხანს გახსოვს... არასდროს დამავიწყდება ის წამი, როდესაც საკუთარი სულის კარი ჩემთვის გახსენით, როდესაც ასე დიდსულოვნად, თავდაუზოგავად ცდილობდით ჩემი განადგურებული, თითქმის მკვდარი გულის გაცოცხლებას...

თუკი მაპატიებთ, ამდღებულ, დაუვიწყარ მოგონებად დარჩებით ჩემს სულში... ამ მოგონებას სათუთად შევინახავ... ისეთივე ერთგული ვიქნები მისი, როგორც საკუთარი გრძნობების. გულს კი არასდროს ვღალატობ, არც შემიძლია - ამ გულს არ შეუძლია ღალატი. ის გუშინვე დაუბრუნდა იმას, ვისაც მუდამ ეკუთვნოდა. ჩვენ უთუოდ შევხვდებით ერთმანეთს, აუცილებლად გვესტუმრებით... ყოველთვის ჩემი მეგობარი, ჩემი ძმა იქნებით... ხომ გამომიწოდებთ ხელს, როდესაც მნახავთ? ხომ მაპატიეთ? ხომ ისევ ისე გიყვარვართ, როგორც უწინ? ძალიან გთხოვთ არ მიმატოვოთ, ისე მიყვარხართ, რომ ნამდვილად ღირსი ვარ თქვენი სიყვარულის... მე ამ სიყვარულს დავიმსახურებ... ძვირფასო, ჩემო ძვირფასო მეგობარო! მომავალ კვირას ცოლად მივეყვები. ძალიან ვუყვარვარ, თურმე არასდროს დავვიწყებთ... ხომ არ მიბრაზდებით მის შესახებ რომ გწერთ? მაგრამ მინდა მასთან ერთად გეწვიოთ სტუმრად. მასაც ხომ შეიყვარებთ? ხომ გულწრფელად შეიყვარებთ?..

მაპატიეთ და არასდროს დაივიწყოთ თქვენი *ნახტენკა*."

ვკითხულობდი და ვკითხულობდი... ცრემლები ეხეთქებოდნენ თვალებს. ბოლოს და ბოლოს წერილი ძირს დაეცა... სახეზე ხელები ავიფარე.

- კასატიკ! კასატიკ! - დამიძახა მატრენამ.

- რა ხდება?

- ჭერი ობობის ქსელებისგან გავწმინდე, ისე კრიალებს, გინდ სტუმრები მოიყვანეთ, გინდ ცოლი... უკვე დროც არის...

მატრენას შევხედე... ჯერ კიდევ მხნე, ასე ვთქვათ "ახალგაზრდა" მოხუცი გახლდათ, მაგრამ რატომღაც მომეჩვენა, რომ სახე ნაოჭებით დაედარა და წელში მოხრილ, ბებერ დედაკაცად იქცა... უეცრად მატრენასავით დაბერდა ჩემი ოთახიც. კედლები და იატაკი შეიღახა, უცნაურად ჩამობნელდა, ობობის ქსელებმა კი ისე იმატა, მთელ ჭერზე გაიწვლა. სვეტებზე ბათქაში დასკდა და ჩამოცვივდა, ფანჯრის

რაფები გაშავდა, დაიბზარა... ჩემი ოთახის კედლების ნათელი სიყვითლე ლაქებმა ააჭრელა...

არ ვიცი ღრუბლებიდან მზის სხივმა მართლა გამოანათა და მალე კვლავ წვიმას შეაფარა თავი, თუ უბრალოდ თვალთ დამიბნელდა. ან იქნებ საკუთარი მომავლის მწუხარე პერსპექტივა წარმოვიდგინე, ანუ როგორი ვიქნები თხუთმეტი წლის შემდეგ... უკვე დაბერებული, იმავე ოთახში, იმავე მატრენასთან ერთად, რომელსაც მთელი ამ წლების განმავლობაში ოდნავაც არ მომატებია ჭკუა.

მაგრამ ნასტენკა... როგორ შემიძლია ნაწყენი ვიყო შენზე, როგორ შემიძლია ჩემი მწუხარებით შენი ნათელი ბედნიერება გავაფერმკრთალო! დაგამძიმო სინდისის ქენჯნით იმ დროს, როდესაც შავ კულულებში უნახეს ყვავილებს ჩაიწნავ და მასთან ერთად საკურთხევლისკენ წახვალ... განა შემიძლია გავსრისო ამ ყვავილთაგან თუნდაც ერთ-ერთი... არასოდეს! არასოდეს! შენთვის ცა ყოველთვის უღრუბლო იქნება, სახეს კი მუდამ მშვენიერი და უზრუნველი ღიმილი გაანათებს. შენ მუდამ დალოცვილი იქნები თუნდაც იმ წამიერი ნეტარებისთვის, წამიერი ბედნიერებისთვის, რომელიც ჩემს მარტოსულ გულს აჩუქე!

ღმერთო ჩემო! წუთი არაამქვეყნიური ნეტარებისა! განა ეს ცოტაა? განა ამ წუთს არ შეუძლია უსასრულობად იქცეს და სამარადჟამოდ გააბრწყინოს ადამიანისთვის ბოძებული წუთისოფელი?..

2013 წელი

თარგმანი - მაია ჩოლოყაშვილი

რედაქტორი - ქეთევან ქურდოვანიძე

კორექტორი - გიორგი გულბანი

